# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№139 (9819) 2024 წლის 4 დეკემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


## სისხლიანი ტურანდოტი



6-7

## ირაკლი კობახიძე:

## მშობლებო! საკუთარი შვილები მაქსიმალურად მოარიდეთ ლიბერალური ფაშიზმის ყველა კერას!

2

## საპატრიარქო



ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებულ სამარცხვინო სალომე ზურაბიშვილს აფრთხილებს!

## სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს ეროვნული თვალსაწიერი

7



ფრიდონ ინჯია

## საუკუნის მკვლელობა დღემდე გაუხსნელია!

ჯონ კენედი



8

## ო, აფხაზეთო!..

დიდებული წყაროთ მცოდნის გოგი მაისურაძის წიგნი „დაშრეტილი ფშა“

5



გოგი მაისურაძე

3

## SOS!



„ისე მიდის საქმე, გათენდება ერთი დილა და რუსის ტანკი ისევ თავისუფლების მოედანზე იქნება!“




# პრეზიდენტისა და ოპოზიციური პარტიების სარჩელი არაკონსტიტუციურია!

**საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისა და პოლიტიკური პარტიების სარჩელი 26 ოქტომბრის არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობაზე საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო. გადაწყვეტილებას სასამართლო ვებგვერდზე აქვეყნებს.**

„1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელები („საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ და საქართველოს პარლამენტის წევრების (თამარ კორძაია, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბოტკოველი და სხვები (სულ 30 წევრი) კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ“).

2. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

3. განჩინებას დაერთოს მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობას.

4. განჩინებას დაერთოს მოსამართლე თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კენჭისყრის ფარულობასა და საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობას.

5. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე 15 დღის ვადაში, გაეგზავნოს მხარეებს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ – ვკითხულობთ გადაწყვეტილებაში, რომელიც პლენუმმა შემდეგი შემადგენლობით მიიღო:

**მერაბ ტურავა,
ევა გოცირიძე,
გიორგი თევდორაშვილი,
ირინე იმერლიშვილი,
გიორგი კვერენჩხილაძე
ხვიჩა კიკილაშვილი,
მანანა კობახიძე,
ვასილ როინიშვილი,
თეიმურაზ ტუღუში.**

**ამასთან, განსხვავებული მოსაზრება გიორგი კვერენჩხილაძემ დააფიქსირა სასამართლო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობას.**

**შეგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის სახელით სარჩელი შევიდა 19 ნოემბერს, არჩევნების საყოველთაობისა და ფარულობის პრინციპების დარღვევის ფაქტებზე. აქედან გამომდინარე, ზურაბიშვილი მოითხოვდა არჩევნების მომწესრიგებელი სადავო ნორმებისა და მათ საფუძველზე ჩატარებული არჩევნების საბოლოო შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობას.**

# ირაკლი კობახიძე: მშობლებო! საკუთარი შვილები მაქსიმალურად მოარიდეთ ლიბერალური ფაშიზმის ყველა კერას!



**ჩვენს ქვეყანაში ჩვენთვის თითოეული ადამიანი, თითოეული მოქალაქე, განსაკუთრებით თითოეული ახალგაზრდა არის ძვირფასი, მოვუწოდებ ყველა მშობელს, საკუთარი შვილები მაქსიმალურად მოარიდონ ლიბერალური ფაშიზმის ყველა კერას ჩვენს ქვეყანაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

როგორც მთავრობის მეთაურმა თქვა, ლიბერალური ფაშიზმი არის ზუსტად ისეთივე ტიპის იდეოლოგია, როგორიც იყო ბოლშევიზმი ერთი საუკუნის წინ.

„იცით, რამდენი ახალგაზრდა დაღუპეს ამ იდეოლოგიით, მათ შორის ცნობილი სახეები, როგორებიც იყვნენ გიგლა ბერბიჭაშვილი და სხვები. ნებისმიერი ასეთი რადიკალური იდეოლოგია არის ძალიან სარისკო, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. მინდა, მოვუწოდო თითოეულ მშობელს, მაქსიმალურად მოარიდონ საკუთარი შვილები ლიბერალური ფაშიზმის ნებისმიერ კერას. ეს კერები დაკავებული არიან კონკრეტული საქმიანობით, ეს არის, მაგალითად, ნარკოტიკების თავსმოხვევა ახალგაზრდებისთვის, არატრადიციული ინტიმური ურთიერთობების თავსმოხვევა და შემდეგ ამ ყველაფრის კომპრომატებად გამოყენება. ეს არის ყალბი ფასეულობების ჩანერგვა ადამიანებისთვის, საკუთარ ოჯახებთან დაპირისპირება და ა.შ. ამ ყველაფრის მსხვერპლი არის უამრავი ახალგაზრდა. საბედნიეროდ, ისინი არიან უმცირესობა ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ ჩვენთვის თითოეული ადამიანი, თითოეული მოქალაქე, განსაკუთრებით თითოეული ახალგაზრდა არის ძვირფასი. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველა მშობელს, საკუთარი შვილები მაქსიმალურად მოარიდონ ლიბერალური ფაშიზმის ყველა კერას ჩვენს ქვეყანაში“...

✦ ✦ ✦

**„ბასული** დღეების განმავლობაში, უცხოურმა აგენტებმა და მათმა პატრონებმა გამოიყენეს ბოლო რესურსი, რაც ჰქონდათ დარჩენილი, მათ შორის, მათ გამოიყენეს ბოლომდე საჯარო სამსახურში არსებული რესურსი. ამ რესურსის გამოყენება მათ შეეძლოთ ამ გაზაფხულზეც, ან წინა გაზაფხულზე, ან 2022 წლის ივნისშიც, თუმცა ხედავდით, რომ გარკვეულ რესურსებს იტოვებდნენ და ბოლო რესურსი, რაც ჰქონდათ დარჩენილი, მათ შორის, საჯარო სამსახურში, გამოიყენეს, სწორედ, ამ დღეებში, თუმცა ხედავთ, რომ არც ეს რესურსი გამოადგათ საბოლოო ჯამში „ნაცმაიდნის“ წარმატებისთვის. საინტერესოა, რომ ადამიანები, რომლებიც მოუწოდებდნენ წინა დღეების განმავლობაში საჯარო მოსამსახურეებს სამსახურიდან წამოსვლისკენ, ახლა პირიქით, მას შემდეგ, რაც ჩავარდა „ნაცმაიდანი“, მოუწოდებენ საჯარო მოსამსახურეებს, რომ არ დატოვონ საჯარო სამსახურები. ქცევის ეს ცვლილება, თავისთავად, მეტყველებს ყველაფერზე. თვითწმენდის პროცესი ძალიან საინტერესოდ წარიმართა, ჩვენ ვაკვირდებოდით, რა თქმა უნდა, ყველას მოქმედებას და ყველას მოქმედებაზე გვექნება რეაგირება, ეს რეაგირება იქნება კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ რეაგირება იქნება, ამას ვამბობ მთელი პასუხისმგებლობით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოსასმენად, მათ შორის, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც წუხან „ნაცმაიდნის“ მცდელობის გამო და იმ ვითარების გამო, რომელიც შექმნეს რადიკალურმა პოლიტიკოსებმა ამ დღეების განმავლობაში ჩვენს დედაქალაქში...“

✦ ✦ ✦

**„ჩვენ** გვაქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სავარაუდოდ, დაფინანსებული იყო მთელი რიგი აქტივობები, მათ შორის სპეციალური აღჭურვილობის შეძენა მდიდარი „ენჯეოების“ მიერ. ოფისებში შემალული მდიდარი „ენჯეოების“ ლიდერებიც ვერ გაექცევიან კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში. ოპოზიციის ლიდერები და მათი „ენჯეოების“ ლიდერები ოფისებში იყვნენ შემალული ამ დღეების განმავლობაში, თუმცა პასუხისმგებლობა არის პასუხისმგებლობა და რა თქმა უნდა, ეს პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა დადგეს კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

✦ ✦ ✦

**„ადამიანები** არიან ძალადობრივი დაჯგუფების წევრები, რომლებსაც ემუქრებათ მათ შორის რამდენიმეწლიანი სისხლის სამართლის სასჯელი, ესეც არის შესაბამისი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკანების პასუხისმგებლობა. ამ დღეების განმავლობაში ამ ადამიანებმა იკადრეს აბსოლუტურად ყველაფერი უკადრებელი, მათ შორის გადასწვდნენ ბავშვებსაც კი. ხედავდით, რა ხდებოდა ამ დღეების განმავლობაში. ამ კამპანიაში პირდაპირ იყვნენ ჩართული როგორც რადიკალი პოლიტიკოსები, ასევე მათი მედიასაშუალებები, სალომე ზურაბიშვილი, რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი.



ამორალურია ის, რასაც ჩვენ ვხედავდით ბავშვებთან მიმართებით მთელი ამ დღეების განმავლობაში“...

✦ ✦ ✦

**„მინდა**, შევაჯამო განვლილი 5 დღე, ჩავარდნილი „ნაცმაიდნის“ ხუთდღიანი ციკლი. პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო შსს-ს, პირადად შს მინისტრს, თითოეულ პოლიციელს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ დღეების განმავლობაში მოქმედებდა ამერიკულზე და ევროპულზე მაღალი სტანდარტით. თქვენ, მოგეხსენებათ, რომ პირველი ორი დღის განმავლობაში იყო სამწუხარო ინციდენტები. მას შემდეგ, გასული სამი დღის განმავლობაში ყოველგვარი ინციდენტის გარეშე ჩატარდა შესაბამისი მოქმედებები, ამერიკულზე და ევროპულზე მაღალი სტანდარტით მოქმედებდა შსს, მოქმედებდნენ პოლიციელები. მადლობა მათ ამისთვის. ერთ მხარეს იყვნენ არაევროპულად მოქმედი ძალადობრივი დაჯგუფებები და მეორე მხარეს იყო ევროპული და ევროპულზე მაღალი სტანდარტით მოქმედი პოლიცია, რაც არის ძალიან დასაფასებელი. ჩვენ ვწუხვართ თითოეული დაშავებული პოლიციელის, მომიტინგისა და ჟურნალისტის გამო“!..



# ისევ სახელმწიფო გადატრიალების პირისპირ!!!



## დავით კუხალაშვილი: თუ სახელმწიფო ამას თავს ვერ გაართმევს, შესაძლოა, განმეორდეს 1921-24 წლები!

**რადიკალების ჯგუფი,** რომლებიც პარლამენტის შენობის მიმდებარედ და ქალაქის სხვა ქუჩებზე არიან გამაგრებული, რადიკალური ოპოზიციის ლიდერების მიერ იმართებიან. ამბოხებულები, რომლებსაც ოპოზიციური არხები „მშვიდობიან მომიტინგეებად“ მოიხსენიებენ, შეიარაღებული არიან, მათ ამოუწურავად მიეწოდებათ ე.წ. პიროტექნიკა, დამზადებული „მოლოტოვის კოქტეილები“, მათ შორის შესაბამისი აღჭურვილობა და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, აქციაზე მასიურად რიგდება ნარკოტიკებიც.

ბოლო სამი დღის განმავლობაში დაკავებულია 200-ზე მეტი პირი, რომლებიც ჩართული არიან ძალადობრივ ქმედებებში.

სუსში გამოძიება მიმდინარეობს სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან რვა წლამდე ვადით. რა ხდება თბილისის ქუჩებში და რას უკავშირდება ხელისუფლების პასიურობა ამასთან დაკავშირებით, for.ge უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ **დავით კუხალაშვილს** ესაუბრა.

*არჩევნებამდე არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ არჩევნების შემდეგ იგეგმებოდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. სუსში მიმდინარეობს გამოძიება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის ბრალდებით. ვხედავთ რუსთაველზე რაც ხდება, აშკარად იკვეთება სახელმწიფო გადატრიალების ნიშნები. ძალიან ბევრი ადამიანი სვამს კითხვას, რას ელოდება ხელისუფლება, როდესაც რადიკალების ლიდერები ღიად მოუწოდებენ შეკრებილებს აჯანყებისკენ, რომ უნდა დაანთონ ცეცხლი, რომ საჭიროა ცეცხლოვანი აჯანყება... თქვენი აზრით, რამდენად კონტროლირებადია სიტუაცია?*

**დავით კუხალაშვილი:** პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ განვითარებული მოვლენები პირდაპირ მიანიშნებს იმას, რომ სახეზე არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. თუ დავაკვირდებით იმ აღჭურვილობას, რომელიც გამოყენებული არის ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგ, პროპაგანდისტული საქმიანობის ის ძირითად მიმართულებები, რომელიც, მათ შორის, უცხო ქვეყნების მიერ ხორციელდება და ბოლო ფაქტი – აშშ-ის ხელისუფლების განცხადება პროცესის გაღვივებისა, რომ ის სტრატეგიული პარტნიორობის ჩარჩოს წყვეტს, მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ პროცესები ვითარდება ისე, რომ, ალბათობის მაღალი ხარისხით, კოლექტიური დასავლეთის ინტერესებში შედის სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზება.

მაქსიმალურად თავს ვიკავებდი ისეთი განცხადებებისგან, რომელსაც ახლა პირველად გავაჟღერებ და ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი რეალობის შტრიხები კიდევ უფრო იკვეთება, გარკვეული ინფორმაციული ნაკადები სოციალურ ქსელებშიც დაიდო, რომ, თუ საქართველოში განხორციელდება შეიარაღებული გადატრიალება, ალბათობის მაღალი ხარისხით, შესაძლებელია მეზობელი სახელმწიფო ამ მიმართულებაში აქტიურად ჩაერთოს.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ შედეგები იქნება უფრო მძიმე, საზოგადოების იმ ნაწილს, რომლებიც ჩართული არიან ძალადობრივ ქმედებებში, გათვითცნობიერების შესაძლებლობა, ალბათ, არ აქვთ. ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებას განსაკუთრებული აქცენტი უნდა მიექცეს არა მარტო საზოგადოების მხრიდან, არამედ ხელისუფლების მხრიდანაც. თუ ჩვენ რეალურად ამ ტიპის საფრთხის იდენტიფიცირებას ვერ მოვახდენთ, გვექნება ძალიან ცუდი შედეგები და შესაძლებელია ისეთი ვითარება ჩამოყალიბდეს, რომელიც ძალიან დიდ სისხლისღვრასთან იქნება დაკავშირებული.

***– იმისათვის, რომ ავიცილოთ სისხლისღვრა, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ? ამ დრომდე ვხედავთ, რომ რეაგირება არ არის ადეკვატური. თქვენ ბრძანეთ, რომ სიტუაცია ჯერჯერობით არის კონტროლირებადი, რაში გამოიხატება ვითარების კონტროლირება?***

– ზვიად გამსახურდიას ძალადობრივ დამხობას თუ გავაანალიზებთ, მე იმ პერიოდში საკმაოდ ახალგაზრდა გახლდით, გამოუცდელი, მაგრამ მის შემდეგ ძალიან ბევრი რამ, მათ შორის პროფესიული თვალსაზრისით, გავაანალიზე. ყველაზე დიდი შეცდომა იმ პერიოდში დაშვებული იყო ის, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახდინა სათანადო რეაგირება, რათა ნეიტრალიზებული ყოფილიყვნენ გადატრიალების ორგანიზატორი პირები. იქ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო სტრუქტურებიდან ღალატს და განდგომას. ეს იყო როგორც სპეცსამსახურები, ისე თავდაცვის სამინისტრო და შესაბამისად, ამაში ჩარეული იყო დაინტერესებული სახელმწ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე




**„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ბიძინა გიორგობიანმა** ერთ-ერთ გადაცემაში საუბრისას აღნიშნა, რომ თბილისში მიმდინარე პროცესები არის სამოქალაქო პუტჩი.

**„ამ პროცესს პოლიტიკური მდგენელი აღარ აქვს, პოლიტიკური ნაწილისგან დაცლილია. უკვე ხუთი დღეა მიმდინარეობს პირდაპირი სამოქალაქო დაპირისპირება, ამას ჰქვია სამოქალაქო პუტჩი, სადაც**



**სამხედრო ნაწილები არ მონაწილეობენ, მაგრამ მონაწილეობს ნახევრად გასამხედროებული ნაწილი ახალგაზრდების, რომლებიც წლების განმავლობაში დატრენინგებული იყვნენ ოპოზიციონერი ლიდერებისგან, რომელსაც წლების განმავლობაში უტარებდნენ ტრენინგებს თბილისში, ბაკურიანსა თუ სხვაგან. მიმდინარეობს ის სცენარი, რა სცენარიც გაწერილი იყო არჩევნების წინ“,** – თქვა ბიძინა გიორგობიანმა.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ისინი არ ითხოვენ რევოლუციას, სურთ ხელახალი არჩევნები, მაგრამ ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ხალხის ნება კვლავ არასწორად არ იქნება წარმოდგენილი. მისი თქმით, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებმა მხარი უნდა დაუჭირონ საქართველოს მოსახლეობის მშვიდობიან მოთხოვნას – ახალ არჩევნებს.

**„რაც შეეხება იმას, რისი გაკეთება შეუძლიათ ჩვენს პარტნიორებს, პირველ რიგში, მათ შეუძლიათ ძალიან მკაფიო იყვნენ (არჩევნების შედეგების) არაღიარებაში, რასაც ისინი უკვე აკეთებენ, მათ შეუძლიათ მიიღონ ზომები და მათზეა დამოკიდებული აირჩიონ, რომელ ზომებს მიიღებენ მათ წინააღმდეგ, ვინც საქართველოს ართმევს უფლებას, აირჩიოს დემოკრატიული მთავრობა და მათ მხარი უნდა დაუჭირონ საქართველოს მოსახლეობის მშვიდობიან მოთხოვნას – ახალ არჩევნებს. ჩვენ არ ვითხოვთ რევოლუციას, ჩვენ ვითხოვთ ხელახალ არჩევნებს, მაგრამ ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ხალხის ნება კვლავ არასწორად არ იქნება წარმოდგენილი და მოპარული“,** – აღნიშნა პრეზიდენტმა.

✦ ✦ ✦

**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე** For.ge-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ რადიკალური ფრთის მიზანია საქართველოში არეულობის მოწყობა და თუკი პროცესი ასე გაგრძელდება, ქვეყანაში ომი გარდაუვალია:

„ეს არის ხელოვნური დაძაბულობა. იმ ძალებმა, რომლებიც არიან ე.წ. გლობალური ომის პარტიის წარმომადგენლები, ფაქტობრივად, დაკარგეს ყველა ბერკეტი, ცდილობენ 20 იანვრამდე საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოხდენას – მათ ამისათვის დაქოქეს ყველა და ყველაფერი.

**ეს ადამიანები, რომლებიც ამ პროცესში ჩაებნენ, ხელს უწყობენ ქართველი ერის გენოციდს – საქართველოში მდგომარეობის ასე ამოტრიალებას არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს რუსეთი და აქ დატრიალდება სისხლის ტბები.**

**მოდის უსაშინლესი ძალა, რომელსაც მხარს უჭერენ დასავლეთის ლიბერალ-ფაშისტები. ეს არის დამუშავებული გეგმა – ხალხს ვაფრთხილებ, ყველას სახლთან სულ მალე, ვინც ამ ფაშისტურ ძალებს მხარს უჭერს, ჩაიჩოქებს ომის აქლემი,**



**საქართველო მიწისაგან პირისა აღიგავება. სულ მოკლე ხანში, აქ ომი იქნება – ისე მიდის საქმე გათენდება ერთი დილა და რუსის ტანკი თავისუფლების მოედანზე იქნება – დღეს სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე ვართ!**

**გაუგია ვინმეს 300 ათასი ხმის გაყალბება?! – ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს! ოპოზიცია რომ მოსულიყო ხელისუფლებაში, მაშინ ხომ არ იქნებოდა რაიმე გაყალბება?! ანალოგიური სიტუაცია იყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს – მისგან ქმნიდნენ მონსტრს, შემდეგ კი რა მივიღეთ ძალიან კარგად ვიცით“!..**

✦ ✦ ✦

**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ** აღნიშნა, რომ უკან დახევის თეორიული პერსპექტივაც არ არსებობს. პროტესტის საგანია ის, რომ თითქოს ხელისუფლებამ შეაჩერა ევროინტეგრაცია, რაც „არ მომხდარა ბუნებაში“.

**„არის ხოლმე მომენტები, როდესაც შენ შეიძლება ფიქრობდე, რომ მართალი ხარ, მაგრამ ვიღაც სხვანაირად ფიქრობს და შეიძლება უკანაც დაიხიო. მაგალითად, ჩვენ ეს გავაკეთეთ შარშან, „გამჭვირვალობის კანონთან“ დაკავშირებით. მაშინაც მიგვაჩნდა, რომ კანონი იყო სწორი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების ნაწილმა ეს სწორად ვერ გაიგო, ჰქონდა გულწრფელი პროტესტი, ჩვენ დავიხიეთ უკან და გამოვიწვიეთ ეს კანონი. ასეთი რაღაცები პოლიტიკაში, ბუნებრივია, შეიძლება მოხდეს. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ახლა ადამიანები აპროტესტებენ იმას, რაც ბუნებაში არ არსებობს. პროტესტის საგანია ის, თითქოს ხელისუფლებამ შეაჩერა ევროინტეგრაცია. რაც ბუნებაში არ არსებობს, იმას როგორ შეცვლი, აქ უკან დახევის თეორიული პერსპექტივაც არ არსებობს. ისეთ რამეს აპროტესტებენ, რაც ბუნებაში არ არსებობს და არ მომხდარა. შესაბამისად, ერთადერთი, რაც უნდა მოხდეს, არის მარტივი რამ, ყველა უნდა დამშვიდდეს“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

**ნიკო ჩოხელი**

საქართველო რესპუბლიკა | უჟამო ჟამი | №139. ოთხშაბათი, 4 დეკემბერი, 2024 წელი



### გიორგი ახვლედიანი:

# „ოცნება“ ტრამპთან დაკავშირებით ჰაერზე იმედებს არ ამყარებს

## მათ აქვთ კომუნიკაცია და 20 იანვრიდან ეს უკვე ოფიციალურ სახეს მიიღებს!

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერი, მეთიუ მილერი განცხადებაში, რომელიც დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან სტრატეგიულ პარტნიორობას აჩერებს, თუმცა არ არის მითითებული, რა სახის შეჩერებაზეა საუბარი, რადგან ამერიკასთან, გარდა იმისა, რომ ეს პარტნიორობა ფურცელზე წერია, სხვა სახის პარტნიორული ურთიერთობა არ არსებობს. მაგალითად, არ გვაქვს პირდაპირი ფრენები, უვიზო მიმოსვლა, თავისუფალი ვაჭრობა და სხვა ის ურთიერთობა, რაც სტრატეგიულ პარტნიორობას გულისხმობს.**

**ამიტომ მმართველ გუნდს რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს აქციების მუხტის ასაწევად გაკეთდა, ასევე ბაიდენის გარემოცვა ახალი ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაციამდე საქართველოსთან ურთიერთობას მაქსიმალურად გაფუჭებას ცდილობს. მათი აზრით, აქციას მუხტი მოაკლდა და თეთრი სახლის ადმინისტრაციიდან ეხმარებიან.**

მეთიუ მილერი წერს: „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესის შეჩერების შესახებ ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის კონსტიტუციაში დაფიქსირებულ დაპირებას ევროკავშირსა და ნატოში სრულ ინტეგრაციაზე. საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესის შეჩერებით, „ქართულმა ოცნებამ“ უარყო ევროპასთან მჭიდრო კავშირების შესაძლებლობა და საქართველო უფრო მოწყვლადი გახადა კრემლის წინაშე.

ქართველი ხალხი მხარს უჭერს ევროპასთან ინტეგრაციას. აშშ გმობს პოლიციის მიერ ძალის გადამეტებულ გამოყენებას ქართველების მიმართ, რომლებიც ცდილობენ, გამოიყენონ შეკრებისა და გამოხატვის უფლება, მათ შორის, მშვიდობიანი პროტესტის თავისუფლება. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, უზრუნველყონ, რომ საპროტესტო აქციები იყოს მშვიდობიანი.

„ქართული ოცნების“ სხვადასხვა ანტიდემოკრატიულმა ქმედებამ დაარღვია ჩვენი, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეფუძნებოდა საერთო ღირებულებებსა და ვალდებულებებს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემასთან მიმართებაში ანტიკორუფციულ ძალისხმევას. შედეგად, შეერთ-



ებულმა შტატებმა შეაჩერა ეს მექანიზმი.

✦ ✦ ✦

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, დაუბრუნდეს ევროატლანტიკურ გზას, გამჭვირვალედ გამოიძიოს

გაგრძელება მე-6 გვ.

# ისევ სახელმწიფო გადატრიალების პირისპირ!!!

მესამე გვერდიდან

იფო და რეალურად არანაირი ზეგავლენა ამ პროცესებზე არ მოახდინა აშშ-მა და კოლექტიურმა დასავლეთმა. როგორც დასრულდა, ეს ყველაფერი ვიცით.

მე, დღეს, უბრალოდ, არ მაქვს ის ინფორმაცია, რომელიც გააჩნია ხელისუფლებას, მაგრამ მან იდენტიფიცირებული საფრთხეების საფუძველზე უნდა მოახდინოს სათანადო რეაგირება. ღია წყაროებში არსებული და გამოქვეყნებული ინფორმაციების ანალიზი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ამ პროცესების ლიდერეთა მნიშვნელოვან ნაწილთა ქმედებაში შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ქმედებები და ზოგადად, თუ დროული რეაგირება არ მოხდება სამართლებრივ ფაქტებზე, ეს ვითარება არ იქნება შედეგის მომტანი.

კიდევ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ აუცილებლად, რომ რეალურად მიმდინარეობს შსს-ს და ძალოვანი სტრუქტურების საწინააღმდეგო სადაზვერვო პროპაგანდის შემცველი პროპაგანდა, რაც პრაქტიკულად ძალიან ცუდ ასახვას პოვებს საზოგადოებისა და პოლიციის ურთიერთობაზე, მათ შორის, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გარკვეულ დარღვევებზე, რაც შსს-ს მხრიდან იყო გაკეთებული, მაგრამ რეალურად არ ქვეყნდება ის მონაცემები, რას ჩადის მომიტინგეთა ის ნაწილი, რომელიც შეიარაღებული გადატრიალებისთვის არის მზად.

***— ვხედავთ, რომ მომიტინგეთა ძირითადი ქმედებები მიმართულია იმისაკენ, რომ გადაღალოს შსს-ს და სპეცსამსახურის თანამშრომლები. ეს რა ტაქტიკაა?***

— ესეც სადაზვერვო სამსახურებისთვის ცნობილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და, სამწუხაროდ, მოქმედებათა გეგმა გაწერილია ძალიან დიდ პერიოდზე. სწორედ იმ წლების განმავლობაში, როდესაც სუსი აქვეყნებდა ინფორმაციებს, გავიგეთ, რომ იყო გადატრიალების მცდელობა, მაგრამ არასათანადო რეაგირების გამო, საბოლოო ჯამში, მივედით იმ ვითარებამდე, სადამდეც მივედით. საკმაოდ კრიზისული ვითარებაა და ვფიქრობ, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა



გავითვალისწინოთ პრაქტიკული მაგალითები და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ არ დაიწყოს ანგარისწორება, განსაკუთრებით დესტრუქციული და ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფების მიერ, მათ შორის ფარული და შენიღბული ქმედებები.

***— ამის წინაპირობა არსებობს?***

— რა თქმა უნდა, და სახელმწიფოს მართებს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ამ მიმართულებაზე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ხელისუფლებას ჯერჯერობით ამის შესაძლებლობა აქვს.

***— სუს-ი ამბობს, რომ ეს არის სახელწიფო გადატრიალების მცდელობა და ჯერ მხოლოდ დააკვირდებიან პროცესებს. პარალელურად, შს სამინისტრომ გამოაქვეყნა დაკავებულთა ვინაობა და ესენი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის აშშ-ის, ბრიტანეთის, რუსეთის და ბელარუსის. სახეზეა უცხო ქვეყნის ჩართულობა, როგორ ფიქრობთ, გადავა სუსი მოქმედებაზე?***

— იმდენად რთული ოპერატიული ვითარებაა და ვითვალისწინებ იმას, რომ ხელისუფლებას აქვს უფრო მყარი და სრულყოფილი ინფორმაციები როგორც ღია, ისე დახურული წყაროებიდან, ჰყავს ორი მნიშვნელოვანი სამსახური — დაზვერვა და კონტრდაზვერვა, რომელთაგან ერთი საერთაშორისო არენიდან ღებულობს ინფორმაციას, მეორე ქვეყნის შიგნიდან. მაგრამ, ჩემი გადმოსახედიდან, რასაც ვუყურებ, სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილებების მიღების გარეშე შესაძლებელია სიტუაცია უკონტროლო გახდეს.

რაც შეეხება უცხოელების დაკავებას, არ ვიცი მათი შემოსვლის მოტივები. ორი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ, შესაძლებელია, რომ პირობითად, ესენი არიან ამ ქვეყნებიდან შემოგზავნილი ადამიანები, რომლებსაც თავისი მისია აქვთ და შეიძლება სხვებიც იყვნენ ამ პროცესებში ჩართული. მეორე ვარიანტია, რომ ესენი არიან რუსეთიდან და ბელარუსიდან იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც დატოვეს საკუთარი სახელმწიფოები და შეიძლება მათ გარკვეული წვდომა აქვთ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან და ისინი თავის მისიას ასრულებენ.

ძალიან რთული სიტუაციაა და ვხედავთ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც არიან ჩართული ამ ვითარებაში. ამ 30 წლის ანალოგიების ანალიზი რომ ვერ გავაკეთეთ, ამიტომ გვემართება ყველაფერი. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ზვიად გამსახურდიას პერიოდი, ძალიან ბევრი მსგავსებაა იმ პერიოდსა და ამ პერიოდს შორის. ამიტომ არ უნდა გაიმეორონ ის შეცდომები, რომელიც დაშვებული იყო გამსახურდიას მიერ, როცა მან დროული რეაგირება ვერ გააკეთა. თუმცა არსებობს ძალიან ობიექტური მიზეზები იმისა, რომ მას ყველა სტრუქტურამ უღალატა, მის გვერდით იმ პერიოდში იდგა მათ შორის მაღალი იერარქიის პირები, რომლებიც გადაბირებული იყვნენ საბჭოთა კაგებეს მიერ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ცოტა უკეთესი მდგომარეობა იყოს, მაგრამ იმ დემარშების ფონზე, რასაც ვუყურებთ და რასაც არაერთხელ აღვნიშავდით, ეს არის სადაზვერვო კოჰაბიტაციის შედეგი. რეალურად, ადამიანები, უბრალოდ, ვერ აკეთებენ იდენტიფიცირებას, თუ რა არის სახელმწიფო. ურთულესი სიტუაციაა და თუ სახელმწიფომ ამ სიტუაციას თავი გაართვა და არ მივიღეთ სახელმწიფო გადატრიალება, ვფიქრობ, საქართველოში ყველა მიმართულებით უკეთესი მდგომარეობა იქნება.

***— და, თუ ვერ გაართვა სახელმწიფომ თავი, ასეთ შემთხვევაში რა მოხდება?***

— თუ სახელმწიფო ამას თავს ვერ გაართმევს, არ გამოვრიცხავ, რომ განმეორდეს 1921-1924 წლები, რომელიც არანაირად არ იქნება საქართველოს ინტერესების შესაბამისი და მაინტერესებს, მაშინ რას იტყვიან და მოიმოქმედებენ ის ადამიანები, რომლებიც გაუთვიცნობიერებლად არიან ჩართული ამ მიმართულებაზე. ნანახი მაქვს 1921 წლის არქივის მასალები, მათ შორის კონტრდაზვერვის მიმართულებით, ასევე მაქვს ნანახი 1924 წლის აჯანყების მასალები და ცალსახად მინდა, განვაცხადო, რომ ყველა ეს პროცესები იმართებოდა უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების შედეგად და მათ შორის ანალოგიური მეთოდოლოგია გამოიყენა საბჭოთა კავშირმა.

სადაზვერვო მიმართულებით, რა თქმა უნდა, ვერ გამოიყენებდა იმიტომ, რომ იმ პერიოდში საქართველო შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ საბჭოთა კონტრდაზვერვამ პროვოცირება გაუკეთა 1956 წლის 9 მარტის ჯერ მასობრივ მიტინგს, შემდეგ მასობრივ არეულობას. სამწუხარო რეალობაა ის, რომ უნივერსიტეტებში ძირითადად არიან პროგანწყობებზე მომუშავე პროფესორები და არა პროფესიონალები. ის, რაც დღეს ჩვენ თვალწინ ტრიალებს, ეს არის დაშვებული შეცდომების შედეგი, რომელსაც ჩვენ ვერ ან არ ვასწორებთ.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

ჩვენ საქართველო რესპუბლიკა

# ო, აფხაზეთო!..

## დიდებული წყაროთმცოდნის გოგი მაისურაძის წიგნი „დაშრეტილი ფშა“

**აფხაზეთის სოფელ ახალსოფელში (აშიცრა) საუკუნეების განმავლობაში მოედინებოდა ნაკადული, რომელიც სოფლიდან ქართველთა გამოდევნის შემდეგ დაშრა!..**



გოგი მაისურაძე




**ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს გოგი მაისურაძეს და მის ღვაწლს. წლების განმავლობაში იგი მსახურობდა საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში, მათ შორის, აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. აქედან გამომდინარე, იგი უზარმაზარ ინფორმაციას ფლობს აფხაზეთში გასული საუკუნის 60-90-იან წლებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე. მის მიერ მიწოდებული მასალებით და კონსულტაციით საქართველოს შსს საარქივო სამმართველომ ამ ათიოდე წლის წინ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „გინდიას საქმე“. ფილმი ეფუძნება 1978 წელს სოხუმში, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ქართველთა და აფხაზთა შორის ეროვნული შუღლის გაღვივების მოწოდების ფაქტზე, რომელიც მის მიერ იქნა გამოძიებული.**

დიდია გ. მაისურაძის წვლილი „ექსპერტთა კლუბის“ ჩამოყალიბებაში, სადაც 2008-2012 წ.წ. ის ექსპერტად მუშაობდა. ეს მუშაობა გულისხმობდა ისტორიის გამყალბებელ რუს, აფხაზ, ოს და სხვა მეცნიერებთან, პოლიტიკოსებთან გაჩაღებულ საინფორმაციო ომს, რაც მნიშვნელოვანი წარმატებებით მიმდინარეობდა. 2009-2012 წ.წ. გოგი მაისურაძე მუშაობდა საქართველოს პარლამენტის „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით კომისიაში“, სადაც მისი ინიციატივით დაიწყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის ზეპირი ისტორიების შეგროვება, რასაც დიდი იურიდიული მნიშვნელობა აქვს, როგორც დანაშაულის მტკიცებულებას, მაგრამ ამავე დროს ფრიად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ისტორიკოსების, პოლიტოლოგების და კონფლიქტოლოგებისათვის. მისი მეშვეობით, წლებია, უკვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) ისტორიისა და კულტურის, ეთნოკონფლიქტების შესახებ სამეცნიერო ნაშრომები იგზავნება აშშ კონგრესის ბიბლიოთეკაში; რუსეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, სომხეთის სამეცნიერო დაწესებულებებში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტური სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, გ. მაისურაძის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია. მისი ძალისხმევით ჩამოყალიბდა არასამთავრობო, არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაციები: „გუდაუთელი“, „გაგრელი“, „სამურზაყანოელი“. ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გ. მაისურაძე მონაწილეობს დევნილთა პრობლემების შესწავლასა და სამთავრობო სტრუქტურების დახმარებით მათ მოგვარებაში; აქტიურად თანამშრომლობს თბილისში განთავსებულ „წითელი ჯვრის“ სათავო ოფისთან აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების საფლავების მოძიების მიზნით; მას დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ საზოგადოება „გუდაუთელის“ შუამდგომლობით, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც ფაკულტეტის სახით შეუერთდა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული აგრონომის ალექსანდრე იობიძის სახელობის კაბინეტი გაიხსნება; ასევე, საზოგადოება „გუდაუთელისა“ და საზოგადოება „სამურზაყანოელის“

გაგრძელება მე-11 გვ.

## არდავიწყება

# თენგიზ ბერიძე



**გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ბიოქიმიკოსი, მოლეკულური ბიოლოგი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ ბერიძე.**

თ. ბერიძე იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. იგი იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 2 მონოგრაფიის.

თენგიზ ბერიძე არის მცენარეულ უჯრედში სატელიტური დნმ-ის აღმოჩენის ავტორი. მისი მონოგრაფია „სატელიტური დნმ“ გამოაქვეყნა ცნობილმა სამეცნიერო გამომცემლობა **„Springer-Verlag“**-მა 1986 წელს (**Beridze T. Satellite DNA, Springer-Verlag, Berlin, Heidelberg, New York, Tokio**). მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თანამედროვე მოლეკულური ბიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის მეთოდების გამოყენებით ვაზისა და ხორბლის ქართული ენდემური ჯიშების გენომის სტრუქტურის დადგენის საქმეში.

თენგიზ ბერიძის მიერ მიღებულ მონაცემებს გარდა ფუნდამენტური ხასიათისა, დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. ქართული ვაზის ჯიშების გენომის სეკვენირებამ ხელი შეუწყო მეცნიერული ცოდნის, ტრადიციებისა და ინოვაციების კომბინაციაზე დაფუძნებულ თანამედროვე მევენახეობის განვითარებას საქართველოში. მის მიერ შესწავლილია ქართული ენდემური ხორბლებისა და მათი წინამორბედების გენეტიკური მრავალფეროვნება, რაც გამოყენებას პოვებს ხორბლების სელექციასა და გენეტიკურ ინჟინერიაში.

თენგიზ ბერიძეს დიდი ამაგი მიუძღვის მოლეკულურ ბიოლოგიაში კადრების მომზადების საქმეში. ის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

ბატონი თენგიზი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით (1999). იყო ბიოქიმიის დარგში ს. დურმიშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი (2011).

თენგიზ ბერიძე გამოირჩეოდა საუკეთესო პიროვნული თვისებებით. იყო უაღრესად კეთილშობილი და თავმდაბალი. კოლეგებში სარგებლობდა დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის და დიდი ტკივილი ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც მას პირადად იცნობდა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ბიოქიმიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

### თენგიზ ბერიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი 4 დეკემბერს, 17 საათზე, გამოსვენება 5 დეკემბერს, 14 საათზე, მისამართი: ალ. ყაზბეგის 42ა, ბ. 10**



აფხაზები (აფსუები) ისლით დახურული ფაცხის ფონზე მე-20 საუკუნის დასაწყისში



აფხაზთა ტიპური სახლები გუდაუთის რაიონის აშიცრა-ახალსოფელში რაჭის მთიანი რეგიონიდან 1937-1951 წ.წ. ჩასახლებული კოლმეურნეებისათვის (1939 წ.)

# სისხლიანი ტურანდოტი



**მკითხველს შევახსენებ აღმოსავლურ ზღაპარს ტურანდოტზე, რომელიც საფუძვლად დაედო ჯაკომო პუჩინის უკვდავ ოპერას – „ტურანდოტი“. ტურანდოტი ჩინეთის იმპერატორის ქალიშვილია, იშვიათი სილამაზის პრინცესა, რომელიც მისი ქმრობის მოსურნე ჭაბუკებს სამ გამოცანას სთავაზობს და თუ ვერ გამოიცნობენ, მათ იქვე ჯალათი თავს ჰკვეთს. ამიტომ არის ტურანდოტი სისხლიანი.**

სამწუხაროდ, სისხლიან ტურანდოტს მახსენებს ჩვენი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც ცხადია, არც ტურანდოტის მშვენიერება გააჩნია, არც მისი კეთილშობილური წარმომავლობა, მაგრამ ერთი რამით კი ემსგავსება მას: ახალგაზრდობას აქეზებს სამოქალაქო ომისა და სისხლისღვრისკენ.

ახლა, ვფიქრობ, შემთხვევით ხომ არ ხდება, რომ ქ-ნი სალომე ასეთი მოსურნეა ამ სისხლისღვრის. ვაი, რომ არა! თავად განსაჯეთ. პირველი: იგი, მრავლისმეტყველი ღიმილით, ათავისუფლებს ჩემთვის და, ალბათ, სხვებისთვისაც გაურკვეველი სქესის ახალგაზრდას, რომელიც მშვიდობიანად მდგომი პოლიციელის დაწვას ცდილობდა ე. წ. მოლოტოვის კოქტეილით; მეორე: მან დამცველი დედაბრის კალთა გადააფარა მთელ ე. წ. „ნაცმოძრაობას“, რომელსაც სისხლში აქვს გასვრილი ხელები; მესამე: მან ციხიდან გამოუშვა (შეიწყალა) ცნობილი ისტორიკოსის, ჩემი მეგობრის გიორგი ოთხმეზურის შვილის მკვლელი.

თუკი პირველი ორი ფაქტი აშკარად პოლიტიკური ნიშნის მატარებელია, ამას ვერ ვიტყვით მესამე შემთხვევაზე. მაშ, როგორ ავხსნათ მისი სიმპათია სისხლს მოწყურებული დამნაშავისადმი? ხომ არ არის მასში ჩაბუდებული სისხლისმწოველის ჟინი, ე. წ. ვამპირიზმის მოთხოვნილება?!

მაგრამ მე დამავიწყდა, რომ იგი მოქმედებს დასავლეთიდან მოვლენილი ბრძანებით, თუმცა ვერ წარმომიდგენია, რომ რომელიმე დიპლომატმა ან სახელმწიფო მოღვაწემ ამაში მხარი დაუჭიროს ქ-ნ ზურაბიშვილს, თუ თვითონ არ გახლავთ ჩამოყალიბებული ვამპირი.

დანიელი ფილოსოფოსი სიორენ კირკეგორი ბრძანებს, რომ „დემონური მხოლოდ მაშინ იკვეთება ცხადად, როდესაც მას სიკეთე ეხება, რომელიც მის საზღვარს გარედან უახლოვდება. ამ მიზეზით, ღირსაღსანიშნავია, რომ ახალ აღთქმაში დემონური თავს მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს, როდესაც მას ქრისტე უახლოვდება და, თუნდაც დემონთა რიცხვი ლეგიონი იყოს (შდრ. მათე 8, 28-34, მარკოზი 5, 1-10, ლუკა 8, 26-39), ან დემონი მუნჯი იყოს (შდრ. ლუკა 11, 14), ფენომენი არის ერთი და იგივე, ეს არის შიში სიკეთის წინაშე, რადგან შიში ისევე კარგად შეიძლება გამოიხატოს როგორც სიმუნჯეში, ისე – ყვირილში. სიკეთე, ბუნებრივია, აღნიშნავს თავისუფლების აღდგენას, ხსნას, გადარჩენას, როგორადაც არ უნდა ვუწოდოთ მათ“ (იხ. სიორენ კირკეგორი: შიშის ცნება, თბილისი 2014, გვ. 193-194). მაგრამ საქმეც ისაა, რომ ქ-ნ სალომეს სიწმინდე არა და არ უახლოვდება, ამიტომაც ბობოქრობს, ჯიუტობს და უწმინდური სურვილით შეპყრობილი, ახალგაზრდებს აგულიანებს და ჩვენც მოგვიწოდებს ისევ ქართველების სისხლის საღვრელად.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სალომე ზურაბიშვილი ფრანც კაფკას გმირების მდგომარეობაშია. როგორც ლიტერატორი კლაუს ჰერმსდორფი წერს: „კაფკას გმირების საშინელი მდგომარეობა იმაშია, რომ მათთვის მხოლოდ სასჯელის სისასტიკიდან შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ უმაღლესი სასამართლო არსებობს მხოლოდ სიკვდილით დასჯის რეალობიდან, რომ არსებობს კანონის რეალობა“ (**Franz Kafka, Das erzählerische Werk, Einführung, Berlin** 1983). მაგრამ უბედურება ის არის, რომ არც მოსამართლე არ ჩანს, ვის ნებასაც ემორჩილება სალომე ზურაბიშვილი, არც ის კანონი, რითაც ხელმძღვანელობს ქ-ნი პრეზიდენტი. მაგრამ განა ძნელი მისახვედრია, ვინ არის მოსამართლე და ვისი კანონია, რომლითაც განსჯის ქ-ნი პრეზიდენტი?

„და შევხედე, და აჰა, ჩალისფერი ცხენი, ხოლო სახელი მისი მხედრისა – სიკვდილი; და ჯოჯოხეთი მოსდევდა მას“ (გამოცხადება 6, 8).

ამ პატარა წერილს ისევ სახარების სიტყვებით დავამთავრებ:

„ნათელში ბნელი ნათობს, და ბნელმა იგი ვერ მოიცვა“ (სახარება იოანესი 1, 5).



**ვიქტორ რცხილაძე**

## საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 640.7 ათასამდე გაიზარდა!

**2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის წინა სასწავლო წელთან შედარებით, ქვეყანაში არსებული სკოლების რაოდენობა მცირედით შემცირდა. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში 2 294 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა) იყო, მათ შორის 2 086 საჯარო და 208 კერძო. თუმცა, წინა სასწავლო წელთან შედარებით, ქვეყანაში არსებული სკოლების რაოდენობა 2 ერთეულით არის შემცირებული და რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სკოლა (17.1%) იმერეთში ფიქსირდება.**

**ამის მიუხედავად, გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა. 2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 640.7 ათასი მოსწავლე სწავლობდა, რაც წინა სასწავლო წლის მაჩვენებელს 1%-ით აღემატება. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობის 89% სწავლობს, ხოლო კერძო სკოლებში – 11%.**

**ოფიციალური მონაცემებით, მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობიდან 48.3% გოგოა, ხოლო 51.7 % – ბიჭი. რეგიონებს შორის ყველაზე მეტი მოსწავლე (35.8%) თბილისში სწავლობს.**

**აქედან, 2024 წელს საშუალო სკოლა დაასრულა 41.7 ათასმა მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11.8 %-ით ნაკლებია, ანუ 11.8 %-ით ნაკლებმა მოსწავლემ დაამთავრა საშუალო სკოლა.**

**გიორგი ახვლედიანი:**

# „ოცნება“ ტრამპთან დაკავშირებით ჰაერზე იმედებს არ ამყარებს

**მეოთხე გვერდიდან**

**საპარლამენტო არჩევნების ყველა დარღვევა და გააუქმოს ანტიდემოკრატიული კანონები, რომლებიც ზღუდავს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას“.**

**პრემიერი ირაკლი კობახიძე** ამბობს, რომ ჯერ კიდევ მოქმედი ადმინისტრაცია ცდილობს, მაქსიმალურად მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვოს ახალ ადმინისტრაციას.

მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება არის ზუსტად ისეთივე დროებითი მოვლენა, როგორიც სალომე ზურაბიშვილია.

**„თქვენ ხედავთ, რომ ჯერ კიდევ მოქმედი ადმინისტრაცია ცდილობს, მაქსიმალურად მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვოს ახალ ადმინისტრაციას, ტრამპის ადმინისტრაციას. ამას აკეთებენ ისინი უკრაინის მიმართ და საქართველოსთან მიმართებითაც, თუმცა ამას ვერ ექნება ვერავითარი პრინციპული მნიშვნელობა, დაველოდებით ახალ ადმინისტრაციას და ყველაფერზე ვისაუბრებთ ახალ ადმინისტრაციასთან. შესაბამისად, ეს არის ზუსტად ისეთივე დროებითი მოვლენა, როგორიც სალომე ზურაბიშვილი,“ – განაცხადა პრემიერმა.**

**მისივე თქმით, ტრამპის ადმინისტრაციასთან მათ ჰქონდათ არაპირდაპირი კომუნიკაცია და მათგან პირდაპირ კომუნიკაციას ელიან. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია.**

**ჩვენთვის მთავარია ტრამპის ადმინისტრაცია, ეს არის მთავარი, დანარჩენი ყველაფერი არის მეორეხარისხოვანი, როგორც იტყვის ტრამპი, იქნება ისე, მანამდე სხვა ვიღაც ამბობდა რაღაცას და იმას მიჰყვებოდა ჰელსინკის კომისია, რასაც იტყვის ტრამპი, იქნება ისე, ამიტომ ჩვენთვის მთავარია დონალდ ტრამპთან ურთიერთობა“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

✦ ✦ ✦

**ანალიტიკოსი გიორგი ახვლედიანი** for.ge-სთან ამბობს, რომ მეთიუ მილერის განცხადება ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია და ის ლიბერალური ძალები, რომლებიც ჩვენი რადიკალური ოპოზიციის გულშემატკივრები არიან, საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას ჩქარობენ. მათ კარგად იციან, რომ 20 იანვრის შემდეგ ეს შეუძლებელი იქნება, ამიტომ ბოლო შანსის გამოყენება უნდათ.



**„გეგმაშია, რომ როგორმე საქართველოში გადატრიალება მოაწყონ. არავითარი ბაიდენი ამ სიტუაციასთან დაკავშირებით საქმის კურსში არ არის. თუმცა ის ლიბერალური პოლიტიკური წრეები, რომლებიც დემოკრატიულ პარტიაში ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში იმყოფებიან, ცდილობენ, ეს გეგმა ბოლომდე მიიყვანონ. მათ არჩევნების შედეგად ვერ შეძლეს საქართველოში ხელისუფლების ცვლილება. ქართველმა ხალხმა ამის საშუალება არ მისცა. ამიტომ გეგმა „ბ“-ზე გადავიდნენ და ძალისმიერი მეთოდით, ფერადი რევოლუციით ცდილობენ ამას.**

**ამერიკას, იდეაში, გარდა ფურცელზე დაწერილი სტრატეგიული პარტნიორობისა, სხვა არაფერი დანიშნულება არა აქვს. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ 30 წლის მანძილზე, მათ შეეძლოთ კონკრეტული ნაბიჯები გადაედგათ. დღეს საქართველო სამხრეთ აზიაში ერთადერთი პარტნიორია ამერიკის, იმის მიუხედავად, პარტნიორობა რაში გამოიხატებოდა, დღემდე არავინ იცის. არ გვაქვს მათთან თავისუფალი ვაჭრობა, პირდაპირი ფრენები, უვიზო მიმოსვლა.**

**ფაქტობრივად, არაფერი დასაკარგი ამერიკასთან არა გვაქვს. არავითარი სავაჭრო პარტნიორული ხელშეკრულებები არ გვაქვს. მცირე რაოდენობით პროდუქციის გაყიდვაც არ შეგვიძლია ამერიკაში. მათ საქართველოსთან მიმართებაში არაფერი გაუკეთებიათ. ამიტომ ამ სტრატეგიული ურთიერთობის გამოცხადებას რა შინაარსი უნდა ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვას ემსახურება?!“,** – ამბობს ახვლედიანი.

მისივე თქმით, ის, რაც დღეს თბილისისის ქუჩებში ხდება, ამას მშვიდობიან აქციასთან საერთო არაფერი აქვს. ახვლედიანის თქმით, ესენი არიან კანვასის მიერ კარგად დაორგანიზებული, დატრენინგებული ახალგაზრდები, რომლებიც ძალიან მიზანმიმართულად მოქმედებენ.

**„თუ დააკვირდებით, საკმაოდ ნავარჯიშები, გაწვრთნილი, დატრენინგებული ახალგაზრდები არიან. ამაზე ვსაუბრობდი მეც და ხელისუფლებაც, რომ ამ ახალგაზრდების მუდმივი დატრენინგება მიდიოდა. სწორედ ეს ბავშვები არიან, რომელთა ენერგიას და ადრენალის ასე იყენებენ მათ ზურგს ამოფარებული პოლიტიკური ლიდერები. ამიტომ ვის ეპარება იმაში ეჭვი, რომ მილერის ეს განცხადება სწორედ კოორდინირებული მოქმედებაა.**

**მე ეჭვიც არ მეპარება, რომ „ოცნება“ ტრამპთან დაკავშირებით ასე ჰაერზე იმედებს არ ამყარებს. როგორც კობახიძემ უკვე თქვა, მათ აქვთ კომუნიკაცია და 20 იანვრიდან ეს უკვე ოფიციალურ სახეს მიიღებს. მჯერა, რომ იქიდანაც მოდის ისეთი სიგნალი და ინფორმაცია, რომ ჩვენს ხელისუფლებას იმედი აქვს. ასევე ვიცით, რომ ორბანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი და მეგობარია, ასევე მეგობრობს ტრამპთან. ამიტომ ეს ადამიანიც ძალიან კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ მათთან პირდაპირი კომუნიკაცია შევძლოთ. მივიტანოთ სწორი ინფორმაცია, თუ რა ხდება საქართველოსთან დაკავშირებით. ამიტომ ეს იმედი ფუჭი არაა და ჩვენს გარშემო არის ბევრი ისეთი მეგობარი, რომლებიც ტრამპთან პირდაპირ ურთიერთობენ. ყველაფერი გადაივლის, ეს არის მათი ბოლო მოქმედება, რაც არ გამოუვათ“!..**

მისივე თქმით, ძალიან კარგია, რომ ამერიკაში საქართველოს ელჩი გადადგა და რეალურად სრული ლუსტრაცია მოხდა იმის, ვინ რას ემსახურებოდა. ახვლედიანის თქმით, დავით ზალკალიანის პოზიცია უნდა ყოფილიყო საქართველოს უვიროგა დაცვა და ქვეყნის ინტერესების გატარება. ის კი ამის მაგივრად, დასავლელ პოლიტიკურ ლიდერებს უწევდა ანგარიშს და მათ ერთგულებაში არწმუნებდა. ამიტომაც სჯობია, რომ ახალი ადმინისტრაციის პირობებში ახალი ელჩი გვეყოლება და ეს დამატებით პლუსია.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს ეროვნული თვალსაწიერი



დამფუძნებელი კრების მონაწილენი

უხუცესთა საბჭოს ფენომენი ოდითგანვეა ცნობილი. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში უხუცესთა საბჭო წყვეტდა მნიშვნელოვან საკითხებს სახელმწიფოში, იგი უმაღლეს სათათბირო და სახალხო მსაჯულთა ორგანოს წარმოადგენდა.

ამ თვალსაზრისით კავკასია და საქართველო გამორჩეულია.

დავით აღმაშენებლის მეფობის ჟამს სახელმწიფოს ცენტრალურ აპარატში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მისი როლი და ფუნქცია ხშირად გადამწყვეტიც იყო.

ხევსურეთში ხევისბერი გახლდათ წინამძღოლი არა მხოლოდ სასულიერო ცხოვრებაში, მასვე ევალებოდა საომარი და სამართლებრივი საკითხების წარმართვა და გადაწყვეტა. ფშავში ხევისბერს ეკითხებოდნენ სათემო საქმეებს. ის ლაშქარს დროშასა და ჯვარზე აფიცებდა და წინ მიუძღოდა.

პანკისელი უხუცესები დღემდე მრავალ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში არიან ჩართულნი.

სვანი მახვშების სიბრძნის შესახებაც ბევრი რამ გვსმენია.

თავიანთი ღვაწლით გამორჩეულნი არიან აფხაზეთში მოქმედი უხუცესები.

**ისტორიულად და სიმბოლურად მართებულია, რომ სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს დამფუძნებელი შეკრება ჭყონდიდში (მარტვილი) გაიმართა, სადაც დღეს ტრიალებს სამი წმინდანის – გიორგი ჭყონდიდელის, ამბროსი ხელაიას და ანტონ ჭყონდიდელის სპეტაკი სულები.**

სამეგრელოს უხუცესთა საბჭოში გაერთიანებულნი არიან 70 წელს გადაცილებული, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაბრძენებული ადამიანები, რომელთაც ცხოვრებისეული და ინტელექტუალური გამოცდილებით შეუძლიათ, კვლავაც შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი სამეგრელოს და დედასაქართველოს ჯანსაღი მომავლის მშენებლობაში.

მხცოვანი ადამიანები (ოდიშელები) გახლავან საქართველოს სიყვარულით გულანთებულნი, რომელთა მთავარი მახასიათებელია, სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ მშობლიური მხარის ტრადიციების, ადათ-წესებისა და კოლხური ფენომენის ერთგულნი.

დამფუძნებელ კრებაზე დამტკიცდა „სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს“ საქმიანობის წესდება, მიზნები და ამოცანები.

ის მოიცავს ქართული (მეგრული) ადათ-წესებისა და ტრადიციების დაცვას;

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას;

ახალგაზრდებში მეგრული ენის პოპულარიზაციას;

საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მეგრული სამოსის, ფოლკლორის, პოეზიის, სამზარეულოს ცნობადობის ამაღლებას.

მნიშვნელოვან საკითხებს შორის მთავარია: აფხაზ უხუცესებთან დიალოგი და შექმნილი ურთულესი მდგომარეობის დათბობისთვის ზრუნვა, მიტევება, შერიგება, აფხაზების და აფხაზეთის დაბრუნება!

სამეგრელოს უხუცესები ფიქრობენ, რომ აფხაზ უხუცესებთან ერთად შეუძლიათ და ვალდებულნიც არიან, ერთობლივად შეიმუშაონ მოქმედების პროგრამა, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს შერიგებამდე მიიყვანს. ასევე მიაჩნიათ, რომ უცხო ძალის პოლიტიკამ ქართველი და აფხაზი ხალხები საერთო ტრაგედიასა და ათასობით უდანაშაულო, მშვიდობიანი ადამიანის დაღუპვამდე მიიყვანა.



ფრიდონ ინჯია, დემურ გადელია

უხუცესთა საბჭო გეგმავს, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლაში მონაწილეობას; ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში მეგრული კულტურის ამსახველი მასალების მოძიებას; კავკასიაში მცხოვრები უხუცესების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დამყარებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

ასევე, სადღესასწაულო წვეულებების წარმართვის და ყოფის საუკეთესო თვისებების აღდგენა-პოპულარიზაციას.

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი საკითხებისა, რომლებზეც იმსჯელეს დამფუძნებელ შეკრებაზე.

**შეკრებამ სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარედ ამ შესანიშნავი თაოსნობის ორგანიზატორი, საქართველოს ღირსეული შვილი, პოლიტიკოსი და აქტიური საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ინჯია აირჩია.**

**თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს გამოცდილი სამეურნეო და საზოგადო მოღვაწეები: დემურ გადელია, ვასილ დავითაია, ვალერი კვარაცხელია, მურმან ნაჭყებია, გოგი ფაცაცია, ვახტანგ ყოლბაია.**

საზოგადოების დირექტორია **კოტე სამუშია.**

მშვიდობა, ქვეყნის გამთლიანება, ერის გამრავლება, წინსვლა და წარმატებები დაგკვებებოდეთ, სამეგრელოს გონიერო და ღონიერო მამულიშვილებო!

**სპარტაკ ქობულია,**
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
მთავარი რედაქტორი;

**ბორის დავითაია,**
მწერალი, პუბლიცისტი,
სენაკის საპატიო მოქალაქე.



# საპატრიარქო ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებულ სამარცხვინო სალომე ზურაბიშვილს აფრთხილებს!



**მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს და სხვა პირებს, რომ ამ დაძაბულ დღეებში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თითოეულ სიტყვას, რამაც შეიძლება ყველასთვის სავალალო შედეგი გამოიღოს, – აღნიშნულია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**

**„სოციალურ ქსელ „X“-ზე** ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის სამწუხარო და შემაშფოთებელი განცხადება, რომ **„უნივერსიტეტების შემდეგ სკოლების ჯერია, გამოხატონ სოლიდარობა აქციების მიმართ“.**

ამ დღეების განმავლობაში ვხედავთ, თუ როგორ ვითარდება მოვლენები საპროტესტო აქციებზე; ხშირად მდგომარეობა ისე იძაბება, რომ შეკრება სხვადასხვა საგნის უმისამართო სროლასა და ხელჩართულ დაპირისპირებაში გადაიზრდება ხოლმე.

ასეთ პირობებში სკოლის მოსწავლეთა და, საერთოდ, არასრულწლოვანთა ჩართვის წაქეზებისკენ მოწოდებული ყოველგვარი განცხადება, მით უმეტეს, ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გამოთქმული, რომელიც, წესით, თავად უნდა ცდილობდეს ხალხში არსებული პოლარიზაციისა და სიძულვილის განეიტრალებას, რათა მიმდინარე მოვლენებისგან მომავალი თაობის ფსიქიკასა და ფიზიკურ ჯანმრთელობას რაიმე ზიანი არ მიადგეს, არის უაღრესად შემაშფოთებელი.

ამას ემატება ისიც, რომ ვრცელდება კადრები, თუ როგორ ცდილობენ უცხო ადამიანები სკოლის ადმინისტრაციის წინააღმდეგ წასვლას და შედიან სკოლებში, არღვევენ სასწავლო პროცესს და მოსწავლეებს მიმართავენ მოწოდებებით, რაც იწვევს სამართლიან აღშფოთებას, – ყოვლად დაუშვებელია და სასწრაფოდ უნდა შეწყდეს.

ინტერნეტში ვრცელდება აგრეთვე ცრუ ინფორმაცია, თითქოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლაში სწავლა შეწყვეტილია, რასაც თავად აღნიშნული სასწავლო დაწესებულების დირექციაც უარყოფს სოციალურ ქსელ **Facebook**-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში: **„სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ჩვეულებრივად“.**

✦ ✦ ✦

**ასევე** პასუხისმგებლობას მოკლებულია სამართალდამცავების დისკრედიტაციისა და პოლარიზაციის გამომწვევი დაუსაბუთებელი განცხადება იმის შესახებ, რომ სამართალდამცავები ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ არიან. საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი სასულიერო პირები ქაშუეთის ტაძარში და მიმდებარე ტერიტორიაზე ყოველღამე მორიგეობენ და მსგავსი ფაქტები არასდროს დაუდასტურებიათ.

**დასასრულ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს და სხვა პირებს, რომ ამ დაძაბულ დღეებში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თითოეულ სიტყვას, რამაც შეიძლება ყველასთვის სავალალო შედეგი გამოიღოს“!**

# ჩინეთმა ლათინური ამერიკის ქვეყნები „დაიპყრო“...



**ტრამპის მომხრეები ხშირად იხსენებენ მონროს დოქტრინას, რომლის ძირითადი თეზა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებზე სხვა სახელმწიფოების გავლენის შეკავებაა. ამერიკის შეერთებული შტატები 200 წლის განმავლობაში სწორედ ამ თეორიის მიხედვით მართავდა ლათინურ ამერიკას. ახლა კი, გლობალიზაციის ხანაში, ამერიკა ნელ-ნელა კარგავს ძველებურ გავლენებს და, შესაბამისად, ტრამპისტები საგარეო პოლიტიკის სტილის შეცვლას და შინაარსის გადახედვას ითხოვენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ატლანტის ოკეანის სივრცეში გეოპოლიტიკური მანევრირების შემცირებასა და ამერიკის კონტინენტზე ყურადღების კონცენტრაციას გულისხმობს...**

თუმცა, შეერთებულ შტატებს, შეიძლება ითქვას, უკვე დააგვიანდა, რადგან ლათინურ ამერიკაში, ჩინური გავლენა მომძლავრდა. რამდენიმე ათეული წლია, რაც ამ რეგიონში თითქმის ყველა დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი ჩინური ინვესტიციებით ხორციელდება. სწორედ ასეთი პროექტია ჩანკაის მაღალი გამტარიანობის ღრმაწყლოვანი პორტი პერუში, რომლის მთლიანი ღირებულება 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. ნავსადგურის აქციების 60-პროცენტი ჩინურ სახელმწიფო კომპანია **Cosco-Shipping-Ports**-ს ეკუთვნის. პერუს დედაქალაქ ლიმადან ჩრდილოეთით 80-კილომეტრში მდებარე ჩანკაის პორტს უნიკალური ლოჯისტიკური პოტენციალი აქვს. მისი მდებარეობა, პანამერიკულ ტრასასთან და ტრანსოკეანურ მარშრუტებთან სიახლოვის გამო, პეკინს ამაზონის რეგიონის რესურსებზე პირდაპირ წვდომას აძლევს. ამ პორტის მეშვეობით, პანამის არხის გვერდის ავლით, ლათინური ამერიკიდან ჩინეთში გადაზიდვების დრო 40-დან 23-დღემდე შემცირდება, პოტენციური შემოსავალი 4,5 მილრდ დოლარს მიაღწევს და 8000-ზე მეტ სამუშაო ადგილს შექმნის.



**ჩინეთი პერუს პორტიდან ბრაზილიამდე სარკინიგზო ქსელის აშენებასაც ფიქრობს, რაც 3,5 მილიარდი დოლარი დაჯდება. ეს შთამბეჭდავი ციფრები ლათინურ ამერიკაში ჩინეთის ახალანდელი სტრატეგიის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს.**

ჩინეთის პრეზიდენტმა, რომელიც ჩანკაის პორტის გახსნას პირადად დაესწრო, ხაზი გაუსვა, რომ პროექტი არა მხოლოდ ერთი სარტყლისა და ერთი გზის კონცეფციის, არამედ ახალი ეპოქისთვის ახალი სახმელეთო-საზღვაო დერეფნის დაბადებას ნიშნავს. ამ ჩინური პროექტის გამო შეშფოთებული ამერიკული ადმინისტრაცია ვარაუდობს, რომ მომავალში ჩინეთი ჩანკაის პორტს სამხედრო მიზნებისთვისაც გამოიყენებს. ჩინეთის აზრით კი, მისი მონაწილეობა ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებში არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან სამხრეთ ამერიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩინეთისთვის. ლათინური ამერიკა ჩინეთს მისთვის საჭირო სოფლის მეურნეობის პროდუქციის 45 პროცენტით უზრუნველყოფს. ასევე, ლათინური ამერიკა ლითიუმისა და სპილენძის უმსხვილესი მიმწოდებელია. ამ ნედლეულებზე წვდომას კი ჩინეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ლათინური ამერიკისთვისაც მომგებიანია ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება.

ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 20 წლის განმავლობაში, ვაჭრობა ჩინეთსა და ლათინურ ამერიკას შორის 2600 პროცენტით გაიზარდა. დღეს ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა სამხრეთ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებთან 450 მილიარდ დოლარს შეადგენს. ოცი წლის წინ კი, მხოლოდ 18 მილიარდი დოლარი იყო. პროგნოზების მიხედვით, 2035 წლისთვის სავაჭრო ბრუნვა 700 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ასეთი მომგებიანი ეკონომიკური სტრატეგიის გამო, ლათინური ამერიკის ქვეყნები ჩინეთს ფართოდ უღებს კარს. ჩინეთი ეკვადორისა და ვენესუელის ენერგორესურსების მოპოვების პროექტებშიც მონაწილეობს. ბოლო 50 წელია, რაც კოლუმბია ამერიკის ყველაზე სანდო პარტნიორი იყო კონტინენტზე, მაგრამ მანაც ვერ გაუძლო ჩინეთის ხიბლს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კოლუმბიის სასიცოცხლო ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ბრაზილია არ არის ერთი სარტყელი ერთი გზის კონცეფციის მონაწილე, მაგრამ ჩინეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას დღითიდღე აფართოებს. ამას ორი ქვეყნის ლიდერთა დიდი ოცეულის ამასწინანდელ ფორუმზე შეხვედრაც ადასტურებს, რომლის დროს ლულამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრაზილიისა და ჩინეთის ერთობლივ ნაბიჯებზე მთელი მსოფლიო რეაგირებს. მან გაეროსა და **BRICS**-ის ფარგლებში ორი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობა იგულისხმა.

**ლათინური ამერიკის დიდ მოზაიკაში ამ ბოლო დროს არგენტინა წარმოჩნდა, რომლის პროამერიკელი ლიბერტარიანელი პრეზიდენტი ყოველთვის აკრიტიკებდა ჩინეთს და მასთან ურთიერთობის გაღრმავებისგან თავს იკავებდა. ახლა, როგორც ჩანს, ხავიერ მილეის დათმობებზე მოუწევს წასვლა. არგენტინა მძიმე ეკონომიკურ კრიზისშია და კედელთან მიყენებული მისი ახალი ლიდერი გამოსავალს ეძებს. ჩინეთი კი მომგებიან პროექტებს სთავაზობს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მილეიმ ჩინეთის მიმართ ტონი შეარბილა!..**

# საუკუნის მკვლელობა დღემდე გაუხსნელია!

**საიდუმლო შეთქმულებების, სახელმწიფო გადატრიალებებისა და პოლიტიკური მკვლელობების მეტი რა იცის მსოფლიო ისტორიამ, მაგრამ მკვლელობა, რომელიც ამერიკაში, ათასობით ადამიანის თვალწინ 1963 წლის 22 ნოემბერს მოხდა, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და, ამავე დროს, დღემდე ბურუსით მოცული ამბავია. პოლიტიკური ორიენტაციის განურჩევლად, ამერიკელი ხალხი დღესაც მისტირის თავის ახალგაზრდა, მომხიბლავ 35-ე პრეზიდენტს.**

ჯონ კენედის ქვეყნის სათავეში მოსვლასთან ერთად, ხალხში უკეთესი მომავლის იმედი გაჩნდა, რაც მისი დაღუპვის ფაქტმა თვალის ერთ დახამხამებაში გააქრო. საუკუნის მკვლელობა დღემდე გაუხსნელია, თუმცა, ისტორიამ ზეჯითად შემოინახა მომხდარის დეტალური ვიდეოქრონიკა: ამერიკაში, საპრეზიდენტო საარჩევნო მარათონი უკვე დაძრული იყო. კენედიმ მოწინააღმდეგეებით სავსე ტეხასში დაიწყო თავისი კამპანია. გეგმის მიხედვით, ხუთ ქალაქში უნდა ჩასულიყო. 21 ნოემბერს მეუღლესთან ერთად ქალაქ ჰიუსტონს ეწვია. მეორე დღეს – დალასს. ტეხასის მაშინდელი გუბერნატორი ჯონ კონელი ყველაფერს აკეთებდა, რომ კენედის ვიზიტი წარმატებული ყოფილიყო. იმ საბედისწერო დილას ჯონ და ჟაკლინ კენედები, გადახდილი ლიმუზინითა და დიდი კორტეჟით, დალასის სავაჭრო ცენტრისკენ მიემართებოდნენ. მოტორკადა ნელა მოძრაობდა, რადგან კენედების მისასალმებლად ქუჩებში ზღვა ხალხი გამოსულიყო.



საპრეზიდენტო წყვილთან ერთად, ლიმუზინში გუბერნატორი კონელი იჯდა მეუღლითურთ. როცა ლიმუზინმა ჰიუსტონ სტრიტზე შეუხვია და იქვე მდებარე სკოლის ბიბლიოთეკის წიგნსაცავს ჩაუარა, რამდენიმე გასროლის ხმა გაისმა. პრეზიდენტმა ყელზე იტაცა ხელი და მარცხნივ, მეუღლისკენ გადავარდა. გუბერნატორი კონელიც დაიჭრა და გონება დაკარგა.

დაცვა პრეზიდენტს და მის მეუღლეს გადაეფარა. ლიმუზინი დიდი სისწრაფით გავარდა წინ. დაჭრილი კენედი პარკლენდის მემორიალურ ჰოსპიტალში მიიყვანეს, სადაც დღის პირველ საათზე გარდაიცვალა.

იმდღევანდელი საშინელება ყველაზე მწვავედ ლეგენდარული ამერიკელი ჟურნალისტის უოლტერ ქრონქაიტის აცრემლებულ თვალებში აღიბეჭდა, როცა მან **ABC**-ის ეთერში სამყაროს აცნობა, რა მოხდა ხალხთა საოცნებო ამერიკაში.

ვიცე-პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა, დაქვრივებულ ჟაკლინ კენედის თანდასწრებით, ქალაქ დალასის ლავ ფილდის აეროპორტში საპრეზიდენტო თვითმფრინავში დადო პრეზიდენტის ფიცი. 25 ნოემბერს ჯონ კენედი ქალაქ ვაშინგტონში, არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე დაკრძალეს. პროცესიას მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს.

ახალგაზრდა ქვრივისა და კენედის პატარა ვაჟის ფოტო და ვიდეოკადრები, რომელიც გარდაცვლილ მამას მიესალმა, სამუდამოდ დარჩა მსოფლიოს ისტორიის ანალებში.

რაც შეეხება პრეზიდენტის მკვლელსა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, ჯერ კიდევ ბევრია პასუხგაუცემელი კითხვა.

გასროლიდან ერთი საათის შემდეგ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ლი ჰარვი ოსვალდი დააკავეს. მეორე დღეს, დილით, როცა ოსვალდი პოლიციის შტაბბინიდან საპატიმროში გადასაყვანად გამოყავდათ, ის ცეცხლსასროლი იარაღით მოჰკლეს. მკვლელი ღამის კლუბის მეპატრონე ჯეკ რუბი აღმოჩნდა. მკვლელობიდან ერთ კვირაში საგამოძიებო კომისია შეიქმნა, რომელსაც ქვეყნის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უორენი ჩაუდგა სათავეში.

პრეზიდენტის მკვლელობამ შეთქმულების შთაბეჭდილება შექმნა და კომისიას ხალხის ეს განწყობა უნდა გაექარწყლებინა, მაგრამ პირიქით მოხდა. ამერიკელებს არ მოსწონდათ, რომ კომისიის წევრთა უმრავლესობა, მაგალითად, კომისიის ხელმძღვანელი ერლ უორენი და ამერიკის დაზვერვის ყოფილი უფროსი ალენ დალესი კენედის ვერ იტანდნენ. გამოძიება ნაჩქარევად და შეცდომებით ჩატარდა. კომისიის დასკვნა კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა. მის სისწორეზე ხალხიც დავობდა და პოლიტიკური ელიტაც.

გაჩნდა ეჭვი, რომ ამერიკული ისტებლიშმენტი სიმართლის დამალვას ლამობდა. ეჭვს კი ფაქტები ამაგრებდა როგორც გაირკვა, რამდენიმე წლით ადრე, მკვლელმა, კომუნისტური წყობის მოტრფიალე ახალგაზრდა ამერიკელმა ოფიცერმა ლი ჰარვი ოსვალდმა სამშობლო დატოვა და საბჭოთა კავშირში გადასახლდა, სადაც მომავალი მეუღლე მარინა პრუსაკოვა გაიცნო. სამი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირში ცხოვრება გადაიფიქრა და მეუღლესთან ერთად ამერიკაში დაბრუნდა. ოსვალდი თვალშისაცემად უცნაურად იქცეოდა: ხან კასტროს მომხრეებს უჭერდა მხარს და ხან – მის მოწინააღმდეგეებს, რამაც საბჭოთა და ამერიკული სადაზვერვო სამსახურების ყურადღება მიიქცია.

აღმოჩნდა, რომ მკვლელობის წელს

ოსვალდი ქალაქ მეხიკოში, საბჭოთა საელჩოში მისულა. მკვლელობამდე ორი დღით ადრე კი, ქალაქ დალასის FBI-ის განყოფილებაში მივიდა. მოგვიანებით, გაირკვევა, რომ FBI-ის მაშინდელმა უფროსმა ედგარ ჰუვერმა ეს ფაქტი დამალა.

რაც შეეხება ოსვალდის მკვლელს ჯეკ რუბის, მას ამერიკულ მაფიასთან ჰქონდა სიახლოვე. ასე თქვა, კენედის მკვლელი ქვეყნისა და პირველი ლედის ღირსების დასაცავად მოვკალიო. ეჭვს მკვლელობის სხვა დეტალებიც იწვევს. ითქვა, რომ კენედის გვამის აუტოფსია ხარვეზებით ჩატარდა. ახალმა საგამოძიებო კომისიამ დაადასტურა, რომ კენედის ტვინი გაქრა, რომელიც ლაბორატორიული ტესტების ჩასატარებლად საგანგებოდ იყო დაცული არქივში. პოლიციაც უნიათოდ იქცეოდა, როცა საქმე მტკიცებულებათა მოპოვებას ეხებოდა. მაგალითად, ლიმუზინი, რომლითაც კენედი გადაადგილდებოდა, გამომძიებლებს გარეცხილი დახვდათ, რის გამოც თითის ანაბეჭდები ვერ აიღეს. ასეთივე ბედი ეწია გუბერნატორ კონელის პერანგს.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ოსვალდის კარაბინმა. ექსპერტებმა ბევრჯერ გაისროლეს იმ იარაღიდან, მაგრამ ვერცერთხელ ვერ მოარტყეს მიზანს. ყველაზე ბევრი კითხვა გასროლილმა ტყვიებმა გააჩინა. კომისიის დასკვნით, ერთ-ერთმა ჯერ პრეზიდენტის ყელში გაიარა, შემდეგ – გულმკერდის არეში და გარეთ გამოვარდნილმა გუბერნატორი კონელი დაჭრა ზურგში.

როგორ შეიძლებოდა ეს ყველაფერი ერთ ტყვიას გაეკეთებინა?

სკეპტიკურად განწყობილმა ამერიკელმა ხალხმა ტყვიას ჯადოსნური უწოდა. კომისიის დასკვნით უკმაყოფილო ამერიკის პოლიტიკურმა ელიტამ სხვადასხვა დროს სხვადასხვა საგამოძიებო კომისია შექმნა. ყველა კომისიის დასკვნა ერთმანეთს ჰგავდა. მხოლოდ 70-იანი



ლი ჰარვი ოსვალდი

წლების ბოლოს პრეზიდენტ ფორდის მიერ შექმნილმა კომისიამ აღიარა, რომ კენედის მკვლელი მარტო ოსვალდი ვერ იქნებოდა, მაგრამ კითხვას, ვინ იყო ის მეორე პირი, კომისიამ პასუხი ვერ გასცა.

ასეა დღემდე, კითხვათა უმრავლესობა პასუხგაუცემელი რჩება. შეცდომებს ერთნი სიჩქარესა და უყურადღებობას მიაწერენ. სხვები ფიქრობენ, რომ მკვლელობა წმინდა წყლის შეთქმულება იყო. არის ხალხი, მათ შორის, რობერტ კენედი უმცროსი, ვისაც მიაჩნია, რომ პრეზიდენტ კენედის მკვლელობაში იმდროინდელ სადაზვერვო და სამხედრო პირთა დიდი და გავლენიანი წრის ხელი ურევია!..



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# ბეთჰოვენის ცხოვრების იდუმალი დეტალები



**პირველად ისტორიაში მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა მიიღო ლეგენდარული კომპოზიტორის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის გენომი, რათა გაეგო უფრო მეტი მისი ჯანმრთელობისა და გენეტიკური შემადგენლობის შესახებ.**

**ამის შესახებ უცხოური მედია წერს.**

**გამოცემის ცნობით, ანალიზის ჩასატარებლად მეცნიერებმა გამოიყენეს ცნობილი კომპოზიტორის თმის 5 ღერი. შედეგები აჩვენებს რამდენიმე საინტერესო ფაქტს ბეთჰოვენისა და მისი ცხოვრების შესახებ.**

### ბეთჰოვენის ჯანმრთელობა

**კომპოზიტორის** ჯანმრთელობა დებატების საგანი მას შემდეგ გახდა, რაც მან ექიმს სთხოვა, საჯაროდ დაეწერა მისი ავადმყოფობის შესახებ 1802 წელს.

ამავდროულად, ახალმა კვლევამ აჩვენა მანამდე უცნობი გენეტიკური ფაქტორები, რამაც ბეთჰოვენის ღვიძლის დაავადება გამოიწვია. ამან კი, სავარაუდოდ, პიანისტის სიკვდილი გამოიწვია.

### დაავადებები იდუმალი მიზეზების გამო

**მკვლევრებმა** ვერ დაადგინეს ბეთჰოვენის სმენის დაქვეითების ან კუჭ-ნაწლავის პრობლემების ზუსტი მიზეზი, მაგრამ მათ აღმოაჩინეს ღვიძლის დაავადების რამდენიმე გენეტიკური რისკფაქტორი. კვლევის მიხედვით, კომპოზიტორი დაინფიცირდა B ჰეპატიტის ვირუსით ღვიძლის მძიმე დაავადებისთვის.

კემბრიჯის უნივერსიტეტის კვლევის წამყვანმა ავტორმა ტრისტან ბეგმა თქვა, რომ ბეთჰოვენი რეგულარულად სვამდა ალკოჰოლს, რაც ჩაწერილია მისი „საუბრის წიგნებში“.

„დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რამ მოკლა ბეთჰოვენი, მაგრამ ახლა მაინც შეგვიძლია დავადასტუროთ მნიშვნელოვანი მემკვიდრეობითი რისკის არსებობა და B ჰეპატიტის ვირუსით ინფექცია“,- ამბობენ მეცნიერები.

მკვლევრები იმედოვნებენ, რომ ბეთჰოვენის გენომი ხელს შეუწყობს მომავალ კვლევებს და უპასუხებს დარჩენილ კითხვებს მისი ჯანმრთელობისა და გენეალოგიის შესახებ.

# უკრაინას... ძალა არ შესწევს

**უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, პარტნიორების მხრიდან მისი ქვეყნის მიმართ მხარდაჭერა არასაკმარისია და ნატოს მოუწოდა, რაც შეიძლება მალე მიიწვიოს კიევი ტრანსატლანტიკურ სამხედრო ალიანსში გაწევრების მოლაპარაკებებზე.**



უკრაინული მედიის ცნობით, ზელენსკიმ განაცხადა, რომ ძნელია ძალით დაიბრუნონ რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყნის ზოგიერთი ნაწილი, მათ შორის ყირიმი, რომლის ანექსიაც რუსეთმა 2014 წელს განახორციელა.

**„ჩვენს არმიას არ აქვს საკმარისი ძალა ამის გასაკეთებლად. ჩვენ უნდა გამოვნახოთ დიპლომატიური გადაწყვეტის გზა“,** – აღნიშნა ზელენსკიმ.

ამასთან, მისი თქმით, ასეთი ნაბიჯები შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც უკრაინა დარწმუნებული იქნება, რომ საკმარისად ძლიერია და რუსეთი მის წინააღმდეგ ახალ აგრესიას ვეღარ განახორციელებს.

# არამკითხე მოამბენი...

## ბალტიის ქვეყნებმა სავიზო სანქციები დაუწესეს ივანიშვილს, გომელაურს და შსს მაღალჩინოსნებს!

**ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო, ბალტიის ქვეყნებმა ბიძინა ივანიშვილს, ვახტანგ გომელაურს და შინაგან საქმეთა სამინისტროს 9 მაღალჩინოსანს სავიზო სანქციები დაუწესეს.**

ბალტიის სამ ქვეყანაში (ლიეტუვა; ლატვია და ესტონეთი) შესვლა აეკრძალათ: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებს შალვა ბედოიძეს, იოსებ ჭელიძეს; ალექსანდრე დარახველიძეს და გიორგი ბუთხუზს. ასევე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსს ზვიად ხარაზიშვილს, მის მოადგილეებს მილერი ლაგაზაურს და მირზა კეზევაძეს, ასევე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ვაჟა სირაძესა და კრიმინალური




პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს თეიმურაზ კუპატაძეს. სავიზო შეზღუდვის შესახებ სოციალურ ქსელ X-ზე ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელიუს ლანდსბერგისმა დაწერა.

ბალტიის ქვეყნებმა განაცხადეს, რომ სანქციებს დაუწესებენ „მათ, ვინც ახშობს ლეგიტიმურ პროტესტს საქართველოში“.

# ჯო ბაიდენმა საკუთარი შვილი შეიწყალა

**ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა საკუთარი შვილი ჰანტერ ბაიდენი შეიწყალა.**

ჰანტერ ბაიდენს, იარაღის უკანონო შეძენა-ფლობასთან ერთად, ცხრა საგადასახადო სამართალდარღვევა ედებოდა ბრალად.



როგორც ბაიდენი განმარტავს, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მისი შვილი “შერჩევით და უსამართლოდ იდევნებოდა”.

ბაიდენს არაერთხელ ჰქონდა გაცხადებული, რომ ჰანტერ ბაიდენს არ შეიწყალებდა.

# ტრაგედია საფეხბურთო მოედანზე

**გვინეაში საფეხბურთო მატჩისას შეტაკებების დროს, სულ მცირე, 56 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას ოფიციალური პირები ავრცელებენ.**

როგორც მედია წერს, დაპირისპირება გამოიწვია მსაჯის საკამათო გადწყვეტილებამ ტურნირის ფინალში, რომელიც გვინეის სამხედრო ლიდერის მამადი დუმბუიას პატივსაცემად იყო გამართული.

მსაჯის გადაწყვეტილების შემდეგ ერთ-ერთი გუნდის მხარდამჭერებმა მოედნის მიმართულებით ქვების სროლა დაიწყეს, რის გამოც პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.



ოფიციალური პირების თქმით, სტადიონზე მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

სოციალურ მედიაში გავრცელებულ ვიდეოებში ჩანს, როგორ ცდილობენ გულშემატკივრები გადაჭედილი სტადიონიდან გამოსვლას.

მედიის ინფორმაციით, მამადი დუმბუია, სავარაუდოდ, მონაწილეობის მიღებას აპირებს 2025 წლისთვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში.

# მეცნიერებმა გამოიგონეს რობოტები, რომლებიც არყის ენერგიით მუშაობენ

**რობოტების ინდუსტრიაში ყველაფერი ძალიან სწრაფად ვითარდება, მეცნიერები თითქმის ყოველ კვირას ავითარებენ ბოტების ახალ ტიპებს. ახლა კი გააკეთეს ის, რასაც ალბათ არავინ ელოდა.**

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევრებმა შეისწავლეს რობოტების ენერგიის ახალი გზა.

ჯექსონ უილტმა ჰარვარდის უნივერსიტეტიდან და მისმა კოლეგებმა შექმნეს მრგვალი პლასტმასის საყელურები, რომელთა დიამეტრი დაახლოებით სანტიმეტრია, რათა გამოეყენებინათ მარანგონის ეფექტი რობოტებში, წერს Interesting Engineering .

ჯგუფმა საწვავად გამოიყენა ალკოჰოლი. გარდა ამისა, ალკოჰოლი ორთქლდება მარანგონის ეფექტის გაფუჭების გარეშე. მკვლევრებმა განაცხადეს, რომ მათ უკეთესი შედეგი მიიღეს ძლიერი ალკოჰოლის გამოყენებით.



რობოტებს გაუჩნდათ სუსტი ლტოლვა ლუდის გამოყენებისას და ძლიერი ლტოლვა არყისა და აბსენტის გამოყენებისას.

პიკური სიჩქარით რობოტები წამში 6 სანტიმეტრი სიჩქარით მოძრაობდნენ.

◎ შენც, ბრუტუს?!

# ...ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!

**შემოდგომა-ზამთრის მიჯნაზე დედაქალაქის ცენტრში განვითარებულმა რევოლუციურმა პროცესებმა თურქული სერიალები მკვეთრად შეამცირა და ტელევიზორის ჩართვა მიხარია, რადგან თითქმის ყველა არხზე ჩემთვის საყვარელი სათავგადასავლო ჟანრის პირდაპირ რეპორტაჟებს ცხადში ვუყურებო – სიმწრით შაყირობს უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში რუსთაველზე გამართული გაცილებით ეროვნული ხასიათის უფრო ხალხმრავალ მიტინგებზე გამობრძმედილი ვეტერანი პროტესტანტი მეზობელი.**

ნეტავ მართლა სახუმაროდ გვქონდეს საქმე.

ამ სტრიქონების დაწერა სპორტსმენთა იმ კოლექტიურმა წერილმა მიკარნახა, ამ მღელვარე დღეებში რომ გამოქვეყნდა და საზოგადოებაში კიდევ ერთხელ ამოატივტივა უმადურობის მანკიერი სინდრომი.

დიახ, ეტყობა მრავალგზის დაბულინგებულმა ლეგიონერებმა რადიკალთა წნეხს ვეღარ გაუძლეს და ხელი მოაწერეს იმ ტექსტს, რომელშიც მომიტინგეთა აგრესიულობაზე, პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, პარლამენტში შეჭრის გზით მორიგი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობასა და გადამწვარ მთავარ გამზირზე გაპარტახებულ ინფრასტრუქტურაზე არაფერია ნათქვამი და ცალმხრივად ხელისუფლებაა დადანაშაულებული.

განსაკუთრებით საკვირველი გახლავთ აღნიშნული პასკვილის ავტორთა შორის **თორნიკე შენგელიას** ხილვა, რომელიც აქამდე ვაჟკაცურად უმკლავდებოდა უსამშობლოთა შტურმს. შენც, ბრუტუს?!



**რუსთაველის გამზირის „მშვიდობიანი“ კეთილმოწყობა**

ზემოთ უმადურობა შემთხვევით არ გვიხსენებია – რამდენჯერ მომსვლია მწარე შელაპარაკება ისეთ ჩასაფრებულ ოპონენტებთან, გულზე რომ სკდებოდნენ ჩვენი გამორჩეული წარმატებებით და მათ შემოქმედთათვის მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ უხვად გამეტებულ სახელმწიფო ჯილდოებსა და მილიონიან პრემია-ბონუსებს, თუნდაც დამსახურებულს, მოთმინებიდან გამოჰყავდა. როგორც ირკვევა, ისინი არ ცდებოდნენ.

ვეკითხები დასავლური კარიერით მოამაყე თანამემამულეებს: მხოლოდ საწვრთნელ ბაზებზე ხართ გამოკეტილნი და ვერ ამჩნევთ, როგორი მეთოდებით, მაგალითად დაგეშილი ნაგაზების მიქსევის ჩათვლით, უსწორდებიან იქაური სამართალდამცველები ცივილიზებული სამყაროს ქუჩებში გამოსულ პროტესტანტებს? არ აქცევთ ყურადღებას, ამ ფონზე რამდენად ლმობიერად იქცევიან მათი ქართველი კოლეგები და როგორი მოთმინებით იტანენ სისტემატურ შეურაცხყოფას? როგორ გგონიათ, რომელი პარტიის სახელს უკავშირდება, მაგალითად, უვიზო მიმოსვლა ან კანდიდატის სტატუსის მოპოვება, შემთხვევით „ქართული ოცნებისას“ ხომ არა?

თუ საკუთარი ელემენტარული განსწავლულობა და პოლიტიკური ალღო გღალატობთ, იქნებ გამოცდილების გასაზიარებლად მართლაც ცოცხალ ლეგენდა დეპუტატ სპორტსმენებს მიმართოთ – კომპეტენტური რჩევის მიღება ხომ სათაკილო ნამდვილად არაა?

ვფიქრობ, არც კონსტიტუციური ჩარჩოებიდან კარგახნის წინათ და თანაც მრავალგზის გასული უსამშობლო მთავარსარდალი დედაკაცის სამარცხვინო მოწოდებას უნდა წავუყრუოთ, რომელმაც იდეური წინამორბედის – ადოლფ ჰიტლერის მსგავად, ძალაუფლებით ტკბობის მიწურულს „შტურმავიკთა“ რიგების შესავსებად მოწოდებით ბავშვებს(!) მიმართა. ნუთუ არც ეს გაგიგიათ?

და ბოლოს: არავინ აღიარებს 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგებსო, რომ იმეორებენ თუთიყუშებივით ნაცლიბერალები – ახალი მთავრობა ხომ ლეგიტიმურად ცნეს უზარმაზარმა ჩინეთმა, ნატოს წევრმა უძლიერესმა თურქეთმა და ჩვენმა სამეზობლომ, ევროკავშირის მოქმედმა თავმჯდომარე უნგრეთმა, თვით ეუთო-ოდირმა და, რაც მთავარია, კათოლიკოს-პატრიარქმა. იქნებ ესეც არ იცით? მორჩა, წერტილი!

**გია პლატონიშვილი**

◎ ტრიუმფი

# ბულგარული ოქრო-ვერცხლი

**ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დამთავრდა კარატისტთა ყოველწლიური ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი GRAM PRIX SHOTOKAN, რომელშიც საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდმა ფურორი მოახდინა.**

პრესტიჟულ და მასშტაბურ შეჯიბრებაში 20-მდე ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა და ქართველმა სპორტსმენებმა საერთო ჯამში 8 მედალი, მათ შორის – 7 ოქრო და 1 ვერცხლი მოიპოვეს.



თავი გამოიჩინა 8 წლის **ელენე გოგოხიძემ,** რომელმაც 8-9-10 წლის გოგონებში ინდივიდუალური კუმიტესა და კატას სხვადასხვა დისციპლინაში ერთბაშად 6 მედალი, აქედან 5 ოქრო და 1 ვერცხლი დაისაკუთრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი კარატისტის ორთაბრძოლები კუმიტეში. 8 წლის გოგონათა 25 კილოგრამ წონით კატეგორიაში ელენემ სტარტზე **სიმონა ტოდოროვას** (ბულგარეთი) მოუგო 2:0, შემდეგ **ანა სტამენკოვიჩი** (სერბეთი) ჩამოიშორა გზიდან – 2:0, ფინალშიც ასეთივე ანგარიშით სძლია **ლოლუ სტოიანოვიჩს** (სერბეთი) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ცხრაწლამდელთა 30 კილოშიც მან ზედიზედ სამი მეტოქე დაამარცხა, სამივე ბულგარელი და პირველი ადგილი დაიკავა. ამას დაემატა სამი ოქრო კატასა და ერთი ვერცხლი კუმიტეში.

უფროსებში ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიასა და ინდივიდუალურ კატაში ოქროს 2 მედალი მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა, შავი ქამრის V დანის მფლობელმა **ჭაბუკა მახარაძემ** მოიხვეჭა.

კატაში ასპარეზობისას ქართველმა კარატისტმა სამი წრე შეუფერხებლად განვლო. ფინალში 6 სპორტსმენი მოხვდა. მაღალი ქულებით ოქროს მედალი მახარაძეს ხვდა, მეორე-მესამე ადგილები **მილოშ პეტკოვიჩმა** (სერბეთი) და **მიტკო მეტროვმა** (ბულგარეთი) გაინაწილეს. რაც შეეხება კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიას, ჭაბუკამ პირველ წრეში **ბორის ანტონოვი** (ბულგარეთი, 2:0) დაჯაბნა, მერე **ნიკოლაი დუმიტრესკუსა** (რუმინეთი, 2:0) და **მიხაილ ივანოვს** (ბულგარეთი, 1:0) სძლია, ფინალში **დანიელ საბანოვიჩს** (სერბეთი) აჯობა 2:1 და ოქროს მეორე მედალი დაიმსახურა.

**„სოფიაში საერთაშორისო ტურნირი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, – გვითხრა ჭაბუკა მახარაძემ. – ორთაბრძოლები ორი დღის განმავლობაში 6 ტატამზე მიმდინარეობდა. ძალიან გამახარა 8 წლის ელენე ბობოხიძის წარმატებამ. საერთაშორისო სარბიელზე ერთდროულად რამდენიმე დისციპლინაში მისი გამარჯვება ნამდვილად მისასალმებელია. ელენეს 3 წელიწადია, ქუთაისში უფროსი ინსტრუქტორი, შავი ქამრისა და VI დანის მფლობელი ვაჟა უნგიაძე ავარჯიშებს. მწვრთნელსა და მის ნიჭიერ შეგირდს სოფიაში მიღწეული შედეგები მინდა მივულოცო. რაც შეეხება ტურნირზე ჩემს გამოსვლას, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ბულგარეთის დედაქალქში მოპოვებული 7 ოქრო და 1 ვერცხლი ჩვენთვის დიდი სტიმულია და მოტივაციას გვმატებს, რომ მომავალშიც ღირსეულად ვიასპარეზოთ და საქართველო ვასახელოთ“.**




◎ ქართული ფეხბურთი

**კრისტალბეთ ეროვნული ლიგის 36-ე ეროვნული ჩემპიონატის კვანძი ფინიშამდე 1 ტურით ადრე გაიხსნა, როცა იბერია – 1999-მა (ყოფილი საბურთალო) გაგრას 0:1 შეუტრიალა, 2:1 გაიმარჯვა და ვადამდე მეორედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ვულოცავთ ტარიელ ხეჩიკაშვილის ნაამაგარ და ლევან კორღალიძის გაწვრთნილ თვითმყოფად გუნდს კიდევ ერთ წარმატებას.**

არანაკლებ საზეიმოდ აქვთ საქმე საგარეჯოს გარეჯის ფეხბურთელებს (კლუბის პრეზიდენტი **ლაზარე დათუნაშვილი,** მთავარი მწვრთნელი **თენგიზ კობიაშვილი**), რომელიც ახალ სეზონში პირველად ითამაშებს უმაღლეს ლიგაში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიღწევის ზღურბლთანაა მეორე ეშელონის წარმომადგენელი დედაქალაქის სპაერი (მთავარი მწვრთნელი **ანზორ კიღურაძე),** რომელიც 7 წლის წინათ შეიქმნა და ხვალ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 19 საათზე დავით ყიფიანის თასის გათამაშების ფინალში თბილისურ დერბიში დინამოს შეხვდება.

ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა მიმდინარე სეზონი პირწმინდად ჩააგდო და საუკუნოვანი იუბილის წინ პირველად დარჩა ქვეყნის პირველობის უძლიერესთა კვარტეტს მიღმა (19 ოქრო, 9 ვერცხლი, 5 ბრინჯაო), თუმცა ნაწილობრივ სარეაბილიტაციოდ სწორედ ხვალინდელი მე-16 სათასო ფინალი და მე-14 ტიტულის მოხვეჭის შანსი რჩება (უკანასკნელად – 2016 წელს, როცა მისი მომავალი მეტოქე ბუნებაში ჯერაც არ არსებობდა).

# იბერიის გაბრწყინება

**ცოტა რამ ისტორიიდან:** თასის მფლობელები – დინამო 13, ტორპედო – 5, ლოკომოტივი, იბერია (ყოფილი დინამო) – 3-3, ამერი, გაგრა – 2-2, ბათუმი, გურია, ზესტაფონი, ჩიხურა, დილა, ვიტ ჯორჯია – თითო-თითო. **მწვრთნელები:** დავით ყიფიანი – 4, კახა ჩხეტიანი, რევაზ ძოძუაშვილი – 3-3 (ეს უკანასკნელი 3 გუნდში გახდა გამარჯვებული: დინამო, ტორპედო, ლოკომოტივი). **ფეხბურთელები:** გრიგოლ დოლიძე – 10, ირაკლი ზოიძე – 9 ფინალი და 7 ტიტული. დავძენთ, რომ ერთადერთი მოთამაშე, ვინც ერთბაშად 3 ფინალში გაიტანა ბურთი, **სულიკო დავითაშვილი** გახლავთ, თანაც აბრეზამ ეს 3 სხვადასხვა კლუბის მაისურით მოახერხა (ლოკომოტივი, ამერი, ტორპედო).



◎ ორიოდე სიტყვით

**ჭადრაკი**

**პორტუ – სანტუში (პორტუგალია).** ვეტერანთა 32-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. 65 წელს გადაცილებულთა კატეგორია. **ვერცხლი – ნონა გაფრინდაშვილი.** ბრძენთა თამაშის ცოცხალი ლეგენდა მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა გერმანელ ბრიგიტე ბურხარდტს.



აქვე გაუწყებთ, რომ წინა თვის შედეგების გათვალისწინებით, ფიდეს მიერ გამოქვეყნებულ განახლებულ რეიტინგში **ნანა ძაგნიძე** მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-7 პოზიციამდე აღზევდა.

**რაგბი**

**უკვე** გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრები 2025 წლის ივლისის ტესტებზე მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონს სამხრეთ აფრიკას ეწვევა. ამ დღეებში გაირკვა, რომ გაისად ზაფხულში ბორჯღალოსნებს კიდევ ერთი სარაგბო გრანდი ირლანდია ესტუმრება და მიმდინარეობს მოლაპარაკებები უელსთან შეხვედრის მოსაწყობადაც.

დავძენთ, რომ პოპულარულმა გამოცემა რაგბი პას.კომმა მეორე დონის ქვეყნების გასული სეზონის სიმბოლურ ნაკრებში ოთხი ქართველი შეიყვანა: კარკაძე, გორგაძე, ტაბუცაძე და ნინიაშვილი.

**ჭიდაობა**

**მსოფლიოსა** და ევროპის 3-გზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი **ზურაბ დათუნაშვილი** სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს ანტისადოპინგო განყოფილებამ მხარეთა მოსმენის, წერილობითი განცხადებებისა და მტკიცებულებების განხილვის შემდეგ 5-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

მკაცრი განაჩენის ნაწილობრივი გასაჩივრების შემდეგ, ვიდრე საქმე აპელაციაშია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შედეგებისა და მედლების გადანაწილების პროცესი დროებით შეჩერებულია.

## ო, აფხაზეთო!..

# დიდებული წყაროთმცოდნის გოგი მაისურაძის წიგნი „დაშრეტილი ფშა“

მეხუთე გვერდიდან

შუამდგომლობით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება ჩვენი საამაყო მამულიშვილის, სამურზაყანოში დაბადებული და გაზრდილი პოლიტიკოსის, დიპლომატის, საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის სახელობის კაბინეტი და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

გასული საუკუნის 70-90-იან წლებში აფხაზეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ გ. მაისურაძე უკვე მრავალი წელია, აგროვებს თანამდებობის პირების თუ რიგითი მოქალაქეების მოგონებებს. ამ მხრივ აღსანიშნავია 1989 წლის, 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის, ომამდელი და ომის შემდგომი პერიოდის მოვლენები. გ. მაისურაძის მიერ შეგროვებული მასალების ერთი ნაწილი ჩემთვის კარგად არის ცნობილი, ამიტომ შემიძლია თამამად აღვნიშნო, რომ მას დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს. ზეპირი ისტორიების შეგროვება უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ესაა საქართველოს უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის ნაწილი და მისი დროულად თავმოყრა ფრიად საშური საქმეა. ამის თაობაზე გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იონა მეუნარგია, რომელიც თავს „ფაქტების მომქუჩავებელს“ ეძახდა, წერდა: „არქივების გადახედვას და მით შეცდომების გასწორებას ყოველთვის მოესწრება კაცი, ხოლო ზეპირად გადმოცემული ისტორია კი გაიფანტება დროთა ბრუნვაში“. დიდი შრომის შედეგად გ. მაისურაძეს დიდძალი და უაღრესად ფასეული არქივი დაუგროვდა. ამ სახის მასალების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის თვალსაზრისით, შეიძლება პარალელი გავავლოთ 1978 წლის აპრილში ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვასთან დაკავშირებული გამოსვლების მონაწილეთა ზეპირი ისტორიების გამოცემასთან, რაც ახლახან განხორციელდა.

გ. მაისურაძის მიერ შეგროვებული და დამუშავებული მასალების ნაწილმა უკვე ასახვა პოვა სამეცნიერო პუბლიკაციებშიც. ისინი საინტერესოა არა მარტო სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაც. ამის დასტურია მასალების მცირე ნაწილის გამოქვეყნება კოლექტიურ მონოგრაფიაში „აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი ასპექტები“ (ჯ. გამახარიას რედაქტორობით, თბ., 2017); **Трагедия Абхазии, Грузия, на суд Российской общественности (под ред. Дж. Гамахария, Тб.,** 2016), აგრეთვე პუბლიკაციები ჟურნალ „მწვანეყვავილაში“, რასაც ასევე წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს.

გ. მაისურაძე დიდი ხანია, მუშაობს მემუარებზე, რომლის ერთი ნაწილი მოიცავს მშობლიური სოფლის, გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის ისტორიას. მემუარების მეორე ნაწილში, „გამომძიებელ-დეტექტივის ჩანაწერები“, ქრონოლოგიურად წარმოდგენილია სახელმწიფო უშიშროების ოფიცრის მიერ, გასული საუკუნის 70-90 წლებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში დადასტურებული და გაანალიზებული ის საკვანძო საკითხები, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტის ინსპირირებასთან და შემდგომ განვითარებულ პროცესებთან არის დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, გ. მაისურაძის მემუარების პირველი ნაწილი სოფელ ახალსოფლის ისტორიას შეეხება. ცნობილია, რომ ქვეყნის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ისტორიის დასაწერად, აუცილებელია მისი თითოეული ქალაქისა და სოფლის ისტორიის შესწავლა. ამდენად, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ გ. მაისურაძემ ხელი მოჰკიდა მისთვის ყველაზე კარგად ცნობილი, მშობლიური სოფლის ისტორიის შესწავლას.

გ. მაისურაძის მიერ წარმოდგენილი ხელნაწერი 300 ნაბეჭდ გვერდს მოიცავს. იგი ეყრდნობა ავტორის მოგონებებს, მის მიერ თავმოყრილ საარქივო, პრესის და ზეპირ ისტორიებს, აგრეთვე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას.

მემუარები დაყოფილია ქვესათაურებად, რაც მის გაცნობას და აღქმას აადვილებს. ღრმად სიმბოლურია სახელწოდება **„დაშრეტილი ფშა“**. სოფელ ახალსოფელში წლობით, საუკუნეებით მოედინებოდა ნაკადული, რომელიც აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნის შემდეგ დაშრა...

ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს მისი ბავშვობისა და ყრმობის, სიმწიფის წლებზე, სამეგრელოზე, რაჭაზე, აფხაზეთზე; იმ ადამიანებზე, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონია. აქ წარმოდგენილია მის მიერ ნანახი, მოსმენილი, თავს გადამხდარი ამბები, რომელიც მიუკერძოებლად არის აღწერილი. ყოველივე ეს მოთხრობილია მის მაკრო და მიკრო სამყაროში – საქართველოში, აფხაზეთში, ახალსოფელში... განვითარებული მოვლენების ფონზე. მასში ნათლად არის ნაჩვენები ერთი კონკრეტული სოფლის მაგალითზე, თუ როგორ და რა ვითარებაში ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ერთად ქართველები, აფხაზები, ბერძნები, სომხები, რუსები, ესტონელები და სხვა ერების წარმომადგენლები; როგორ აქცია მათმა შრომამ დაჭაობებული, მალარიის ბუდედ ქცეული შავი ზღვის სანაპირო ზოლი საქართველოს ულამაზეს მხარედ. იმავდროულად, მასში ნაჩვენებია, წლების განმავლობაში როგორ და რა ძალების მონაწილეობით მზადდებოდა, აფხაზეთის კონფლიქტი რამაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მოშალა ქართველებისა და აფხაზების ტრადიციული ურთიერთობის ფორმები და მათ შორის გაუცხოება წარმოშვა. გ. მაისურაძის მემუარებს ორგანულად ერწყმის მის მიერ შეგროვებული ზეპირი ისტორიები, ასევე ამონარიდები პუბლიკაციებიდან, რომლებიც ავსებენ მის მონათხრობს.



საბჭოთა კავშირის პირველი პირი ნიკიტა ხრუშჩოვი და კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო სტუმრად გუდაუთის რაიონის სოფ. დურიფშში (1963 წ.)

ნიშანდობლივია, რომ დასახლება ახალსოფელზე საგანგებო გამოკვლევა არ არსებობს, მხოლოდ საბჭოთა პრესაში გაბნეულია მცირე ჩანაწერები მის ეკონომიკურ მიღწევებზე, სოფლის მოწინავე მშრომელებზე და მეტი არაფერი, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის გ. მაისურაძის მემუარებს. გარდა ფრიად საინტერესო ისტორიული ხასიათის მასალებისა, უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორის მიერ შესწავლილი უამრავი ეთნოგრაფიული მასალა: ადათ-წესები, ტრადიციები, ყოფა-ცხოვრების თავისებურებები, მათ შორის, აფხაზთა ეთნოკულტურის თავისებურებები – კარ-მიდამო, ოჯახი, ქორწინება, დატირება, ნადირობა, რიტუალები, სტუმარმასპინძლობა; მიკრო ტოპონიმები და მათი ეტიმოლოგია და სხვ.

გ. მაისურაძის მემუარები უაღრესად საინტერესოა და უამრავი სიახლის შემცველია სამეცნიერო თვალსაზრისით, ამასთანავე, შეუნელებელი ინტერესით იკითხება. მისი გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ვფიქრობთ, იგი ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ნდობის აღდგენას, ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი რუსულ და აფხაზურ ენებზე გამოცემა. იმედს ვიტოვებთ, რომ კვლავ მაცოცხლებელი წყლით აივსება გუდაუთის ახალსოფლის **„დაშრეტილი ფშა“**.

**ბეჟან ხორავა,**
**ისტორიის დოქტორი,**
**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**ასოცირებული პროფესორი**

**მომდევნო ნომერში წაიკითხეთ:**
გატონი **გოგი მაისურაძის** მიერ ჩაწერილი შემზარავი მოგონება **„რატომ არ უნდა მოვუხადოთ ბოდიში ოს სეპარატისტებს“**, ანუ ჩვენი ისტორიის შავი ფურცლები, რომლის მთხრობელია სკოლის პედაგოგი, **„ვის უნდა 20 ათასის“** პირველი გამარჯვებული **მანანა მაისურაძე.**

## 25 ოჯახის სახელით!..

### ქ. თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს

**პირადად თქვენ და თქვენს გუნდს არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებას გილოცავთ!**

თქვენი ძალისხმევით მიმდინარეობს ხუდადოვის ტყე-პარკის საფუძვლიანი რეაბილიტაცია – ჩვენი დიდი ხნის ოცნება სრულდება!

თბილისი ემსგავსება ევროპული ქვეყნების დედაქალაქებს!

25 დეკემბრამდე დასრულდება მახათას აღმართის პარალელური გზის მოწყობა და, რაც მთავარია, სამუშაოები სრულდება მაღალ დონეზე!

რეხის ქუჩის მიმდებარედ მცხოვრები 25 (ოცდახუთი) ოჯახის სახელით მოგმართავთ თხოვნით – წვიმიანი დღის შემდეგ ჩვენს ოჯახებში რეზინის ჩექმებით, „ბახილების“ ან ცელოფნის პარკების გამოყენებით ვბრუნდებით. ასეთ ამინდში დილით ბავშვები სკოლაში წასვლაზე ხშირად უარს ამბობენ! უფრო მეტიც, სასწრაფო დახმარების მანქანებიც დროზე ვერ მოდიან!

უმორჩილესად გთხოვთ, გამოიყენოთ აქვე მომუშავე საგზაო ტექნიკა და ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გზის პირველადი მოშანდაკება შეასრულებინოთ უახლოეს პერიოდში!

ამ სამუშაოს ერთი ბულდოზერი და ორი თვითმცლელი ორიოდე დღეში გასწვდება!

ძალიან გვინდა, საახალწლოდ გულწრფელად დაგლოცოთ და თქვენი გუნდის წარმატება ვისურვოთ!

**რეხის ქუჩის მიმდებარედ მცხოვრებთა სახელით:**

**შორენა ძინძიბაძე,**
**იურისტი, ნოტარიუსი;**

**ნინო სალაძე,**
**იურისტი, ნოტარიუსი;**

**ლევან მუსხელიშვილი,**
**ინჟინერი;**

**გიორგი ჭანტურიძე,**
**იურისტი.**

## უკრაინა ოფიციალურად უარს ამბობს გარანტიებზე, რომელიც NATO-ში გაწევრების შემცვლელია!

**უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ უკრაინა ოფიციალურად უარს ამბობს გარანტიებზე, რომელიც ნატოში გაწევრების შემცვლელია. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული მედია ავრცელებს.**

უკრაინული მედიის ცნობით, ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება უსაფრთხოების შესაძლო გარანტიებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ჩაითვალოს რუსული აგრესიის შეკავების ინსტრუმენტად.

„ევროპეისკაია პრავდის“ წყაროების ცნობით, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი სიბიგა აპირებს ამ პოზიციის წარდგენას ნატოს მინისტერიალის ფარგლებში, რომელიც სამ დეკემბერს ბრიუსელში გაიმართა.

„დარწმუნებული ვართ, რომ უკრაინის უსაფრთხოების ერთადერთი რეალური გარანტია, ისევე როგორც ის, რაც შეიძლება უკრაინისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ რუსული აგრესიის შემდგომი შემაკავებელი იყოს, არის უკრაინის სრულუფლებიანი წევრობა ნატოში“, – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უკრაინა წინასწარ უარს ამბობს წევრობის შემცვლელ ფორმატებზე.

„ბუდაპეშტის მემორანდუმის მწარე გამოცდილებით, ჩვენ არ მივიღებთ ნატოში უკრაინის სრულუფლებიანი წევრობის ალტერნატივას, სუროგატს ან შემცვლელს“, – აღნიშნავენ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს შეერთებულ შტატებს და დიდ ბრიტანეთს, რომლებმაც მოაწერეს ხელი ბუდაპეშტის მემორანდუმს, საფრანგეთს და ჩინეთს, რომლებიც შეუერთდნენ მას, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების ყველა მონაწილე სახელმწიფოს, მხარი დაუჭირონ უკრაინის ნატოში გაწევრებას ახლა. ეს კი, მათი თქმით, გახდება რუსული შანტაჟის ეფექტური წინააღმდეგობა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს არ ეხება მხოლოდ უკრაინულ და მხოლოდ ევროპულ უსაფრთხოებას, რადგან უკრაინაზე თავდასხმამ შეარყია ბირთვული განიარაღების იდეისადმი ნდობა.




# ავთანდილ პოპიაშვილის პერსონალური გამოფენა

**5 დეკემბერს ფოლკლორის ცენტრის გალერეა ავთანდილ პოპიაშვილის გამოფენას უმასპინძლებს.**

„გამორჩეული ქართველი ფერმწერი 1944 წლის 10 მარტს დედოფლისწყაროში დაიბადა. მისი ნამუშევრები დაცულია მუზეუმებში და აღნიშნულია ჯილდოებით არაერთ ფესტივალსა და ბიენალეზე.

ხელოვანი 70-იანელების გამორჩეულ მხატვართა პლეადას მიეკუთვნება, რომლებმაც ქართულ მხატვრობაში შემოიტანეს ექსპრესიონიზმი და მოახდინეს დიდი გავლენა თაობათა შემოქმედებით აზროვნებაზე.

ავთანდილ პოპიაშვილი მოღვაწეობდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელსა და სამხატვრო აკადემიაში.

აღზარდა არაერთი გამორჩეული შემოქმედი.

მხატვარი 2012 წლის 15 აპრილს გარდაიცვალა და დაგვიტოვა ფასდაუდებელი მემკვიდრეობა“, – აღნიშნულია ფოლკლორის ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ლიონში გიორგი მიქაუტაძის სახლი გაძარცვეს



**საფრანგეთში საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდის გიორგი მიქაუტაძის სახლი გაძარცვეს. წაღებულია ძვირფასეულობა, ჯამში ზარალი 200,000 ევროს შეადგენს.**

ფრანგული მედიის ცნობით, ორი მძარცველი მიქაუტაძის სახლში შეიჭრა და გიორგის სახლში ელოდებოდა. როცა ფეხბურთელი დაბრუნდა, მძარცველები მას დაემუქრნენ, თუმცა ძალადობას ადგილი არ ჰქონია, იძულებული იყო მათთვის ძვირად ღირებული ნივთები მიეცა.

ფაქტი პირველ დეკემბერს მოხდა. როცა „ლიონი“ „ნიცასთან“ მატჩს მართავდა.

სამართალდამცველებმა გამოძიება დაიწყეს. ბოლო წლებში ქართველ ფეხბურთელებთან დაკავშირებით ეს პირველი შემთხვევა არაა, 2022 წლის დეკემბერში ნეაპოლში ხვიჩა კვარაცხელიას სახლი გაძარცვეს, როცა ფეხბურთელი სახლში იმყოფებოდა. მძარცველებმა ავტომობილი **Mini Countryman**-ი მოიპარეს.

# ბაჩო ქანთარიას „ალექს კომნენი“

**2 დეკემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ბაჩო ქანთარიას წიგნის „ალექს კომნენის“ წარდგენა გაიმართა.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, წიგნი ფენტეზის ჟანრის სათავგადასავლო ნაწარმოებია.

# ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული 9 დეკემბრამდე გრძელდება

**4 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს უდიდეს დღესასწაულს – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანებას, რომელიც 9 დეკემბრამდე გრძელდება.**



...ცნობილია, რომ, როცა მარიამი სამი წლის გახდა, დაუდგა ჟამი მშობლებთან განშორებისა. მის მშობლებს – წმინდა იოაკიმე და ანას კარგად ახსოვდათ მთავარანგელოზის ნათქვამი და გადაწყვიტეს, საზეიმოდ, როგორც მესიის დედას ეკადრებოდა, მიეყვანათ ტაძრად მხოლოდ შობილი ასული.

ყრმა მარიამს სადედოფლო შესამოსელი ჩააცვეს!

...გზა ტაძრისკენ ფსალმუნთა გალობით განვლეს. მესამე დღეს შევიდნენ იერუსალიმში. მთელი ქალაქი გამოვიდა ამ დიდებული პროცესიის სანახავად!

შევიდა მოზეიმე კრებული ტაძრის ეზოში და შეიყვანა სულიერი ტაძარში დიდისა მეუფისა – ყრმა მარიამი. უფლის ანგელოზებიც შეუერთდნენ წინამძღოლ ქალწულთა გუნდს და მიაცილებდნენ მას წმინდა წმინდათაში.

ტაძრიდან მათ შესახვედრად გამოვიდა მღვდელმთავარი ზაქარია იოანე ნათლისმცემლის მამა. ის იყო ელისაბედის, წმინდა ანას დისშვილის ქმარი.

ყრმა მარიამმა როგორც კი ფეხი კიბეზე შედგა, დაუხმარებლად აირბინა 15 საფეხური და მუხლებზე შემოეხვია ზაქარიას. თვით ზაქარია მოიცვა სულიწმინდის მადლმა, მიხვდა, რომ ეს ყრმა იყო სამკვიდრებელი ღვთის მადლისა, გაიხსენა, რომ სჯულის კიდობანი, კანონთა მიხედვით წმინდათა წმინდათაში უნდა ყოფილიყო დაბრძანებული. მიხვდა, რომ ეს ყრმა მარიამზე იყო ნათქვამი, ამიტომაც გაკადნიერდა და წმინდა ქალწული წმინდა წმინდათაში შეიყვანა.

**გიული ლიპარტია**

# უნდა გამოვრთოთ თუ არა ღამით Wi-Fi როუტერი?!

**ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით უფროსი თაობა, თვლის, რომ ღამით აუცილებელია ყველა გაჯეტისა და ელექტრომოწყობილობის გამორთვა. ამასთან, ინტერნეტტექნოლოგიების დარგის ექსპერტებმა ზუსტი პასუხი გასცეს კითხვაზე, რეალურად არის თუ არა საჭირო როუტერის ქსელიდან ღამით გათიშვა.**

თუ ეჭვი გეპარებათ, გჭირდებათ თუ არა როუტერის გამორთვა ღამით, თუ გსურთ ელექტროენერგიის ნაკლები გადახდა, მაშინ შეგიძლიათ დაიწყოთ ამის გაკეთება. ეს ჩვევა დაგეხმარებათ, ცოტათი დაზოგოთ ენერგია, მაგრამ სანაცვლოდ უამრავ პრობლემას მოგიტანთ.

ჩართვის ღილაკზე დაჭერამ შეიძლება ზიანი მიაყენოს და შეაჩეროს მნიშვნელოვანი განახლებების დაინსტალირება ამ ფართოზოლოვანი ქსელის გამაძლიერებელ მოწყობილობაზე.

რეკომენდირებულია ყოველთვის დატოვოთ თქვენი როუტერი ინტერნეტით, თუნდაც ღამით. ISP-ები რეგულარულად ახორციელებენ მნიშვნელოვან განახლებებს თქვენს როუტერში, რათა ის საუკეთესო ფორმაში იყოს.

თუ მოწყობილობა გამორთულია, განახლებები არ იქნება მიწოდებული, რაც ნიშნავს არა მხოლოდ ახალი ფუნქციების დაკარგვას და ჩატვირთვის სწრაფ დროს, არამედ უსაფრთხოების მნიშვნელოვან ცვლილებებს.

როუტერის მუდმივმა გამორთვამ და ხელახლა ჩართვამ, შეიძლება მოატყუოს თქვენი პროვაიდერი და იფიქროს, რომ თქვენს ხაზთან არის პრობლემა.

# „ბედნიერების მოსაზიდად“ ეს ნივთები ახალ წლამდე უნდა გადავყაროთ!

**ითვლება, რომ საახალწლოდ დასუფთავება ხელს უწყობს არა მხოლოდ წესრიგის აღდგენას, არამედ ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას იღბლისა და წარმატების მოსაზიდად.**

რა უნდა გააკეთოთ 2025 წლის ახალ წლამდე?!

დღესასწაულამდე დრო უნდა დაუთმოთ არა მხოლოდ სახლის გაფორმებას, არამედ ზოგად დასუფთავებას.

მოიშორეთ ყველაფერი, რაც აღარ მოგიტანს სიხარულს და სარგებელს. ეს ხელს შეუწყობს ადგილის გახსნას რაღაც ახლისთვის, ასევე სიმბოლურად „გაწმენდს“ დაგროვილი ენერგიის სივრცეს.

**რომელი ნივთები უნდა მოიშოროთ ახალ წლამდე?**

**ძველი და არასაჭირო ნივთები** (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები, რომლებიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ გცმიათ და უბრალოდ ადგილს იკავებს);



**დაზიანებული ჭურჭელი** (ბზარები ჭიქებსა და თეფშებზე ნეგატიური ენერგიის სიმბოლოა).

**არასაჭირო ფურცლები** (მოძველებული დოკუმენტები, ქვითრები და გაზეთები არის ზუსტად ის, რაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადააგდოთ).

**გაფუჭებული ნივთები** (თუ დიდი ხნის განმავლობაში არ აპირებთ მათ შეკეთებას, მოიშორეთ ისინი; ეს ეხება საყოფაცხოვრებო ტექნიკასაც, რომელიც აღარ მუშაობს).

**ვადაგასული პროდუქტები, კოსმეტიკა, მედიკამენტები** (შეამოწმეთ მაცივარი, სამზარეულოს კარადები, კოსმეტიკური ჩანთა, პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები და მოიცილეთ ყველაფერი, რისი ვადაც უკვე გავიდა).

ასევე, იფიქრეთ ავეჯის შეცვლაზე ან დეკორაციის განახლებაზე, რომელმაც დიდი ხანია, დაკარგა აქტუალობა.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.8478; ევრო - 2.9967;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6193;**
**100 რუბლი - 2.6780; თურქული ლირა - 0.0820;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6748;**
**1000 სომხური დრამი - 7.1284.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 6 დეკემბერს**